

MATERIALS FOR RESEARCH ON THE ETHNIC IDENTITY OF SOME FAMILIES AND THEIR HISTORICAL MEMORY

მასალები ზოგიერთ გვართა ეთნიკური იდენტობისა და მათი ისტორიული
მეხსიერების კვლევის საკითხისთვის

ALEKSANDRE MGEBRISHVILI

Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

Abstract. Throughout various stages of its history, Georgia has faced numerous challenges. Yet, time and again, the Georgian people have found ways to safeguard their country, their families, and their heritage, making decisions that prioritized their best interests.

Among these tumultuous periods, the 18th century stands out as one of the most difficult. The relentless military campaigns of the Ottomans further exacerbated an already dire situation. The consequences of these prolonged conflicts were swiftly felt. From the era of Shah Abbas, who was relatively tolerant of the Armenian Church, the processes of Islamization and Armenization of the Georgian population were sharply intensified. These shifts were driven, on one hand, by the policies of neighboring Muslim rulers and, on the other, by Georgian rulers appointed by them, many of whom had converted to Islam. According to the Monuments of Georgian Law, by the mid-18th century, the ecclesiastical landscape had dramatically changed. In Kartli, only six of the original twenty-one bishoprics remained, in Kakheti, just four of twenty, and in Meskheta, none of the fourteen.

The severe restrictions on rights and the harsh living conditions forced a portion of the population to adopt foreign religions, thereby securing certain privileges to sustain their existence. The Islamic world, which exerted pressure on Georgia, employed various methods to hasten the erosion of Georgian religious traditions and accelerate the assimilation of the Georgian people into foreign cultures.

Among certain segments of the population, the notion of assimilation was somewhat successfully realized. However, for the majority of Georgians, the defense of Christianity became synonymous with the preservation of their national identity. Christianity and Georgianness were often fused into a singular, inseparable principle. To the masses, anyone who embraced a foreign religion was perceived as having forsaken their Georgian identity, as faith and nationality were regarded as one and the same.

Key words: Ethnic identity, historical memory, idea of nationality, faith, nationality, Georgian Catholics, 19th century cameral census.

ალექსანდრე მღებრიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4275-2417>

აბსტრაქტი. საკუთარი ისტორიული წარსულის სხვადასხვა საფეხურზე საქართველო არაერთხელ მდგარა განსაკუთრებული სირთულეების წინაშე. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცი ყოველთვის პოულობდა თავისი ქვეყნის, ოჯახის და საკუთარი გენის გადარჩენის გზას და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ღებულობდა შესაბამის გადაწყვეტილებებს.

სხვა, არაერთი, დროების მსგავსად, XVIII საუკუნეც ერთ-ერთი ურთულესი გახლდათ. ოსმალთა დაუსრულებელი ლაშქრობები სულ უფრო ამძიმებდა ქვეყანაში შექმნილ ისედაც ძალზე რთულ ვითარებას. ცხადია, არ აყოვნებდა შედეგებიც. სომხური ეკლესიის მიმართ შედარებით ლოიალურად განწყობილი შაჰ აბასის დროიდან მოყოლებული უკიდურესად ძლიერდება ქვეყნის ქართული მოსახლეობის ისლამიზაციისა და არმენიზაციის პროცესები. ამ გარემოების მასტიმულირებელ და ხელის შეწყობ პოლიტიკას ქმნიდნენ ერთის მხრივ, მეზობელი ქვეყნების მუსლიმი მმართველები, ხოლო, მეორეს მხრივ, მათ მიერ ხელდასხმული, რჯულგამოცვლილი, გამაჰმადიანებული ქართველი ხელისუფალნი. „ქართული სამართლის ძეგლების“ მიხედვით, XVII საუკუნისგან განსხვავებით XVIII საუკუნის შუაწლებიდან ქართლში მანამდე არსებული ოცდაერთი საეპისკოპოსოდან მხოლოდ ექვსიდან შემორჩენილი, კახეთის ოცი საეპისკოპოსოდან - მხოლოდ ოთხი, ხოლო მესხეთში თოთხმეტიდან აღარცერთი.

უფლებების მკვეთრი შეზღუდვა და მძიმე საარსებო პირობები მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აიძულებდა ელიარებიანა უცხო სარწმუნოებანი და ამით გარკვეული შეღავათები მოეპოვებინა არსებობის შესანარჩუნებლად. საქართველოზე მოწოლილი ისლამური სამყარო ათასგვარი გზითა და მეთოდებით ცდილობდა დაეჩქარებინა ქართული სარწმუნოებრივი საფუძვლების გადაგვარება და ქართული ეთნოსის სხვა ერებში ასიმილაციის პროცესი.

მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ქართველთა ასიმილაციის იდეა გარკვეულწილად წარმატებითაც ხორციელდებოდა, თუმცა, ერის ძირითადი ნაწილის შეგნებაში ქრისტიანობის დაცვა ეროვნულობის დაცვის იდეად ჩამოყალიბდა. ქრისტიანობა და ქართველობა ხშირ შემთხვევაში ერთ მცნებად იყო გადაქცეული. ყველა, ვინც სხვა რჯულის აღმსარებელი გახდებოდა, მასის თვალში კარგავდა ქართველობასაც, ვინაიდან რწმენა და ეროვნება ერთ მცნებად გახლდათ გაიგივებული.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური იდენტობა, ისტორიული მეხსიერება, ეროვნულობის იდეა, რწმენა, ეროვნება, ქართველი კათოლიკეები, XIX საუკუნის კამერალური აღწერები.

შესავალი. საკუთარი ისტორიული წარსულის სხვადასხვა საფეხურზე საქართველო არაერთხელ მდგარა განსაკუთრებული სირთულეების წინაშე. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცი ყოველთვის პოულობდა თავისი ქვეყნის, ოჯახის და საკუთარი გენის გადარჩენის გზას და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ღებულობდა შესაბამის გადაწყვეტილებებს.

სხვა, არაერთი დროების მსგავსად, XVIII საუკუნეც ერთ-ერთი ურთულესი გახლდათ. ოსმალთა დაუსრულებელი ლაშქრობები სულ უფრო ამძიმებდა ქვეყანაში შექმნილ ისედაც ძალზე რთულ ვითარებას. ცხადია, არ აყოვნებდა შედეგებიც. სომხური ეკლესიის მიმართ შედარებით ლოიალურად განწყობილი შაჰ აბასის დროიდან მოყოლებული უკიდურესად ძლიერდება ქვეყნის ქართული მოსახლეობის ისლამიზაციისა და არმენიზაციის პროცესები. ამ გარემოების მასტიმულირებელ და ხელის შემწყობ პოლიტიკას ქმნიდნენ ერთის მხრივ, მეზობელი ქვეყნების მუსლიმი მმართველები, ხოლო, მეორეს მხრივ, მათ მიერ ხელდასხმული, რჯულგამოცვლილი, გამაჰმადიანებული ქართველი ხელისუფალნი. „ქართული სამართლის ძეგლების“ მიხედვით, XVII საუკუნისგან განსხვავებით XVIII საუკუნის შუაწლებიდან ქართლში მანამდე არსებული ოცდაერთი საეპისკოპოსოდან მხოლოდ ექვსი¹ შემორჩენილი, კახეთის ოცი საეპისკოპოსოდან - მხოლოდ ოთხი², ხოლო მესხეთში თოთხმეტიდან აღარცერთი.³ საგულისხმოა, რომ ასეთი მძიმე სულაც არ გახლდათ ვითარება სომხურ ქრისტიანულ ეკლესიაში. „ქართულ პროვინციებში თუ ოსმალთა დამპყრობლები მიწის მფლობელობას ძირითადად უნარჩუნებდნენ გამაჰმადიანებულ ქართველ დიდებულებს და მათი სახით თავიანთ დასაყრდენს ეძებდნენ, იქ, სომხურ „გავარებში“, მიწა უმეტესად ქურთი ბეგების ხელში იყო, ოსმალები ითვალისწინებდნენ სომხური უმაღლესი სასულიერო წოდების როლს მასების დამორჩილების საქმეში და პრივილეგიებულ მდგომარეობაში ტოვებდნენ მას.“⁴

უფლებების მკვეთრი შეზღუდვა და მძიმე საარსებო პირობები მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აიძულებდა ელიარებიანა უცხო სარწმუნოებანი და ამით გარკვეული შეღავათები მოეპოვებინა არსებობის შესანარჩუნებლად. საქართველოზე მოწოლილი ისლამური სამყარო ათასგვარი გზითა და მეთოდებით ცდილობდა დაეჩქარებინა ქართული სარწმუნოებრივი საფუძვლების გადაგვარება და ქართული ეთნოსის სხვა ერებში ასიმილაციის პროცესი.

მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ქართველთა ასიმილაციის იდეა გარკვეულწილად წარმატებითაც ხორციელდებოდა, თუმცა, ერის ძირითადი ნაწილის შეგნებაში ქრისტიანობის დაცვა ეროვნულობის დაცვის იდეად ჩამოყალიბდა. ქრისტიანობა და ქართველობა ხშირ შემთხვევაში ერთ მცნებად იყო გადაქცეული. ყველა,

¹ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ქართლში დარჩენილი იყო მხოლოდ: 1. ტფილისის მიტროპოლიტი, 2. რუისის მიტროპოლიტი, 3. წილკნის მიტროპოლიტი, 4. ურბნისის მიტროპოლიტი, 5. სამთავისის ეპისკოპოსი, 6. ნიქოზის ეპისკოპოსი.

² XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე კახეთში დარჩენილი იყო მხოლოდ: 1. ბოდბის მიტროპოლიტი, 2. ნინოწმინდის მიტროპოლიტი, 3. რუსთავის არქიეპისკოპოსი, 4. ნეკრესის მიტროპოლიტი.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 112.

⁴ ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია (XVII-XX საუკუნეებში), თბილისი, 2010, გვ. 191.

ვინც სხვა რჯულის აღმსარებელი გახდებოდა, მასის თვალში კარგავდა ქართველობასაც, ვინაიდან რწმენა და ეროვნება ერთ მცნებად გახლდათ გაიგივებული.

კვლევის მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა.

გარკვეული დროის განმავლობაში ისლამის გავრცელება უფრო მეტად შესაძლებელი გახდა საინგილოს, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამაჰმადიანებული ქართველები საკუთარ თავს არასოდეს აღიარებდნენ თურქად, პირიქით, ინარჩუნებდნენ ენას, ტრადიციებს და თვითშეგნებას, ხშირად ყოველივე ეს აღარ მიიღებოდა მხედველობაში და მართლმადიდებელ ქართველთაგან ისინი „თათრებად“ მოიხსენიებოდნენ.

ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება არ ეხებოდა მხოლოდ ისლამს.

პროფ. რ. თოფჩიშვილი მიუთითებდა, რომ „ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, ქართველთა ნაწილი სხვა სარწმუნოებებზე, ქრისტიანობის სხვა შტო-რელიგიებზე გადადიოდა. ქრისტიანული რელიგიის ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი განშტოებები ხომ მკაცრად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს. მაჰმადიანობისგან განსხვავებით, კათოლიკობა და გრიგორიანობა (მონოფიზიტობა) ძალით როდი ინერგებოდა საქართველოში. ისინი მშვიდობიანად ვრცელდებოდა ქართველ ხალხში. გარკვეულ პერიოდში ქართველთა ნაწილმა, ევროპასთან დაახლოების და ამგვარად თავის გადარჩენის ერთ-ერთ გზად კათოლიკობა მიიჩნია. ქართველთა შორის გაჩნდნენ ამ სარწმუნოების მიმდევრები. განსაკუთრებით ეს მოხდა იმავე სამხრეთ საქართველოში, სადაც უცხოური ელემენტის შემოტევა უფრო საგრძნობი იყო. სამცხე-ჯავახეთის არაერთი სოფლის მკვიდრნი კოლექტიურად გახდნენ კათოლიკური რწმენის მატარებელნი. კათოლიკე ქართველები გაჩნდნენ ქალაქებშიც (თბილისი, გორი, ქუთაისი, ახალციხე). დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის გამოკვლევით, ქართველ ხალხში კათოლიკობა XIII საუკუნიდან გავრცელდა. ასე ჩამოყალიბდნენ საქართველოში კათოლიკე ქართველთა კონფესიური ჯგუფები. კათოლიკობას საქართველოში ძირითადად იტალიელი მისიონერები ავრცელებდნენ. კათოლიკე მისიონერთა საშუალებით, ევროპისგან მოწყვეტილ გვიანფეოდალურ საქართველოში, ვრცელდებოდა იმდროინდელი ევროპული სიახლეები. მაჰმადიან ქართველებს თუ „თათრებს“ უწოდებდნენ, კათოლიკე ქართველებს - „ფრანგებს“. სხვადასხვა რელიგია მკაცრად კრძალავდა სხვა სარწმუნოების ადამიანებთან ქორწინებას. ასე ეთიშებოდნენ ერთმანეთს ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი მაჰმადიანები და ქართველი გრიგორიანები. თუმცა, აღნიშნული თვალსაზრისით, მართლმადიდებლობა ზემოთ ხსენებულ სხვა აღმსარებლობასთან შედარებით შემწყნარებელი იყო. შემდეგ მოხდა ისე, რომ ქართველი კათოლიკეების („ფრანგების“) ნაწილი სომხებად მიიჩნიეს, ისევ და ისევ ისტორიასა და ერის წარსულში ჩაუხედავმა ადამიანებმა. ქართველ კათოლიკეთა სომხებად მიჩნევა იმიტომ მოხდა, რომ რომის პაპმა ისინი სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას

დაუქვემდებარა. მასში წირვა-ლოცვა და საქმის წარმოება სომხურ ენაზე მიმდინარეობდა, ქართველი კათოლიკეებისთვის ეს ენა გაუგებარი იყო. ქართველ კათოლიკეებს გაუჩინეს სომხურფუძიანი ახალი გვარ-სახელები (თუმცა უმეტესობას თავიანთი ძველი ქართული გვარები კარგად ახსოვდა). გაჩნდა ეჭვი ქართველი კათოლიკეების არაქართველობის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი დღესაც ცდილობს ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობა „დაამტკიცოს“, თუმცა მათი არგუმენტები წინასწარ აკვიატებულ აზრებზეა დაფუძნებული. ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ქართული წარმომავლობა კარგადაა ნაჩვენები თვით ქართველი კათოლიკეს მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.“⁵

XVIII-XIX საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა გახლდათ სომხური რელიგიური ტექსტებისა და ზოგადად, საეკლესიო ლიტერატურის ქართული ასოებით გადაწერა. ეს ძირითადად კეთდებოდა სომხური სარწმუნოების მქონე, ან სომხურ-კათოლიკური ეკლესიის აღმსარებელთათვის. ამასთან, არც არაბულენოვანი ასოებით გადაწერილი ქრისტიანული საღმრთო წიგნების არსებობის ფაქტები იყო უცხო. ამის ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო არაბულ ენაზე ქრისტიანული ლოცვების სისტემატური მოსმენით, მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის ყური მიეჩვიათ არაბული ენისთვის და მახლობელი გაეხადათ. ამ იდეის განმახორციელებელთა შესახებ მიუთითებდა აკაკი: „ჩხეიძე ქუთათელმა, სხვათა შორის, ქართული საღმრთო წერილი გადაათარგმნინა არაბულად სიტყვა-სიტყვით, და ისე აკითხებდა ეკლესიებში. მაშინდელი არაბულად ნათარგმნი სახარება, ქართული ასოებით დაწერილი, დღესაც მოიპოვება აქა-იქ იმერეთში.“⁶

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის უდიდესმა უმრავლესობამ არ იცოდა არც არაბული და არც სომხური ენები, ქართველი მრევლის თანდათანობით გადაგვარების მოსურნეთა აქტიური მეცადინეობით ეს საკითხი XIX საუკუნეშიც აქტუალურად რჩება. ასეთი ფაქტებით გამოწვეული უხერხულობები ხშირად იდგა იმ დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში და ხშირად ხდებოდა პერიოდული პრესის ყურადღების ობიექტი.

1897 წლის „ივერიაში“ მიხეილ მღებრიშვილი აქვეყნებს ძალზე საინტერესო მცირე მოცულობის ტექსტს სათაურით „ეხლა-კი მესმის.“ ავტორი იგონებს მისი ეკლესიაში მისვლის პირველ დღეს და იმ გაუგებრობას, რომელშიც თავისდაუნებურად აღმოჩნდება.

„მახსოვს, რომ ექვსის წლისას დედამ შემასწავლა „მამაო ჩვენო“ და მითხრა: „შვილო, ჩვენს ვანოს წაჰყევი საყდარშიო.“ აი, ჩვენის სახლის მღვდელი მამა სვიმონი იდგა ტრაპეზზე და ჩუმიად რაღაცას ლოცულობდა; მე ჩემს შესწავლილ „მამო ჩვენოს“ დაჩოქილი მხურვალედ ვამბობდი, მაგრამ ჩემი მხურვალე ლოცვა შემდეგმა გარემოებამ შემიშალა. მამა სვიმონი მობრუნდა მრევლისაკენ და რაღაც ენაზედ წარმოსთქვა „ხალაღუთუნ ამენეცუ“ და ამას მოჰყვა პავლე დიაკვნის პასუხი გალობა იმავე ჩემთვის

⁵ რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული „დიდგორი“, თბილისი, 1991, გვ. 36.

⁶ ა. წერეთელი, ერთობა ჩვენთვის ხატია, თბილისი, 1991, გვ. 371.

გაუგებარ ენაზედ. მე ჩემი მხურვალე „მამაო ჩვენო“ სულ დამეფანტა. ჩემი გრძნობა გაიტაცა იმ ფიქრმა, თუ იქ რა ამბავი ხდება და რა ენაზედ ჰგალობენ-მეთქი?...“⁷

წირვის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა ყმაწვილი, წამხდარი პირველი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სახლში. მის გონებაში დაბადებული უამრავი კითხვის ნიშნის გარკვევაში დახმარება სცადეს ოჯახის წევრებმა. განსაკუთრებული როლი დედას შეუსრულებია. პატარა მიხეილის დედის განმარტებით: მოძღვარი საეკლესიო წესს ასრულებდა „სომხურ და თათრულ“ ენებზე. „რადგანაც სომხური არავის ესმის, ამიტომ დღეს ზოგთათვის თათრულად იქადაგაო.“⁸ მიუხედავად ამისა, მიხეილ მღებრიშვილისთვის ეს საკითხი მაინც გაუგებარ ამოცანად დარჩენილა. ეს გაუგებრობა გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ვიდრე 1897 წლამდე. ამ წლის ნოემბერში გაზ. „ივერიაში“ (იზაშვილის⁹ ავტორობით) გამოქვეყნდა საგაზეთო მასალა „ქართველ-კათოლიკეთა შესახებ.“ სწორედ ამ ტექსტის გაცნობით გამოწვეული ემოციაა გამოხატული მ. მღებრიშვილის ზემოთ ხსენებულ წერილში. იზაშვილის მიერ გაკეთებული საინტერესო ანალიზის შედეგად მღებრიშვილისთვის ნათელი გახდა ის რეალური მიზეზები, რაც განაპირობებდა ხალხისთვის უცხო, გაუგებარ ენებზე წირვა-ლოცვის აღვლენით გამოწვეულ გაუგებრობებსა და იმედგაცრუებას. აკი წერდა კიდევ ამის შესახებ: „ამიხსნა დედამ, მაგრამ დედაჩემის სიტყვები დღემდის ჩემთვის გამოურკვეველი იყო. რად უნდა ელოცათ ჩვენ საყდარში სომხურად, ან რად უნდა დაეშალათ ქართულს ენაზედ ლოცვა, არ მესმოდა. დღეს ბ-ნ იზაშვილის წერილმა ყოველისფერი ამიხსნა. ამიხსნა ისიც, რად მეძახდნენ მე ფრანგს, რად მხდიდნენ სომეხს და მასწავლებელი რად სწერდა ჟურნალში „სომეხ-კათოლიკეო“, როდესაც მე სომხისა არა მეცხო რა. დიდს მადლობას გწირავ ბ-ნო იზაშვილო!...“¹⁰

რადგან იზაშვილის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ვახსენეთ, და რადგანაც ამ ტექსტში მოცემულმა ანალიზმა ზემო ხსენებული ავტორის ყველა კითხვის ნიშანს დაუსვა წერტილი, ვფიქრობთ, მისი გაცნობა არც ჩვენი მკითხველისთვის უნდა იყოს უინტერესო. ავტორი არგუმენტირებულად მსჯელობს დასმული საკითხის შესახებ და გამოაქვს სათანადო დასკვნებიც, რომლებიც არც დღევანდელი გადასახედიდან გახლავთ ინტერესმოკლებული. ამიტომ, ხსენებული პოზიციის გასაცნობად მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს იზაშვილის პუბლიკაციიდან.

„იმ შენიშვნის წყალობით, რომელიც გაზ. „კავკასში“ იყო სათაურად „ახალციხელთა შეუთავსებლობა“ ეწოდება, ხელ-ახლად იქმნა აღძრული დიდი ხნის გადაწყვეტილი საგანი ბ-ნთ მეფისშვილთა ეროვნების შესახებ. ამ კერძო საგანს თავისთავად მოსდევს საზოგადოც - ქართველ-კათოლიკეთა და სომეხ-კათოლიკეთა საქმე, რომელიც დიდად საყურადღებოა როგორც ისტორიულად, აგრეთვე თანამედროვე ინტერესის მხრივ.

ეს საგანი ახალი არ არის-იგი თითქმის 20 წელიწადია, რაც სალაპარაკოდ არის გამხდარი, - მაგრამ დაჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჯერ შესაფერად არ

⁷ მ. მღებრიშვილი, ეხლა-კი მესმის!, გაზ. „ივერია“, 1897, #248, გვ. 2.

⁸ მ. მღებრიშვილი, ეხლა-კი მესმის!, გაზ. „ივერია“, 1897, #248, გვ. 2.

⁹ იგულისხმება პავლე იაკობის ძე იზაშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდგომი წევრი (1899-1911), საზოგადოების თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი (1920).

¹⁰ მ. მღებრიშვილი, ეხლა-კი მესმის!, გაზ. „ივერია“, 1897, #248, გვ. 2.

განხილულ-გამორკვეულა, თუმცა რუსეთის საზოგადოებაში უკვე გავრცელდა ის აზრი, რომ ქართველი კათოლიკენი სულ არ არსებობენ და რომ თუ კავკასიის ძველი მცხოვრებელი ვინმე კათოლიკეა, ის უეჭველად სომეხი უნდა იყოს. საიდგან წარმოსდგება ეს აზრი? რად მოხდა, რომ კათოლიკეთა სარწმუნოება სომეხთა საკუთრებად გარდაიქცა, როდესაც საქმე საქართველოს და საერთოდ კავკასიის მკვიდრთ შეეხება? საკვირველი და უცნაური საკუთრებაა, მაგრამ გაცილებით უფრო უცნაურია ის, თუ როგორ იჩენს თავს ადგილობრივი სარწმუნოების თვისებანი.

თუმცა გამარჯვება მას შემდეგ, რაც კავკასიის კათოლიკეთა შესახებ ლაპარაკი იქმნა აღძრული, დღემდე იმ მხარესა რჩება, რომელიც მოწადინებულია, რომ კავკასიის ყველა კათოლიკენი სომეხებად გარდაჰქმნას და ასეთის საშუალებით თავისი ეროვნების ხალხი გაამრავლოს, მაინც თუ მცირედენადაც არის განვიხილავთ ამ საგანს და გადავთვალთქმებთ ძველს კამათს ამის შესახებ სომხურ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შორის ამტყდარს, არ შეიძლება იმ დასკვნას არ დავადგეთ, რომ მოკამათებებს არ ესმოდეოთ საქმის არსებითი ვითარება და ამიტომ არ შეეძლოთ ამ საგნის შესახებ პირდაპირი და სწორე აზრი დაედგინათ. უპირველეს ყოვლისა, აქ ადამიანს აკვირვებს აზრთა და ტერმინოლოგიის არე-დარევა.

ამ გაზეთების აზრით, სიტყვა „სომეხ-კათოლიკე“ აღნიშნავს იმ კაცს, რომელიც სომეხთ ეროვნებას ეკუთვნის და კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებს, სწორედ ისე, როგორც „ქართველი კათოლიკე“ ჰნიშნავს უეჭველად ეროვნებით ქართველს, სარწმუნოებით კათოლიკეს. ამჟამად, რომ პატივცემულ „კავკასიის“ რედაქციასაც ასევე ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა.

სომხური გაზეთი „მშაკი“, რომელიც, უარსა ჰყოფდა ქართველ-კათოლიკეთა არსებობას, ამტკიცებდა რომ ამ სახელით უნდა ვიგულისხმოდეთ კათოლიკეთა სარწმუნოება საქართველოს ნიადაგზედაო. მაგრამ ამავე დროს სიტყვა „სომეხ კათოლიკე“, გაზეთის განმარტებით, ჰნიშნავს ეროვნებით უეჭველ სომეხს, სარწმუნოებით-კი კათოლიკეს.

კათოლიკეთა ეკლესია, როგორც ყველამ უწყის, თხოულობს, რომ წირვა ღოცვა მხოლოდ ერთს ენაზე, სახელდობრ ლათინურად, იქმნეს შესრულებული. მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც ძველადგანვე საზოგადო წესი დარღვეულ იქმნა ბერძენთა, ასირელთა, სომეხთა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ერთათვის და მათ შორის ქართველთათვისაც.

წირვა ლათინურს ენაზედ გარეგანად ძალიან განსხვავდება იმ წირვისგან, რომელიც სომხურსა, ქართულსა და სხვა ენებზედ სრულდება, აი, სწორედ ამ წესის სხვა და სხვაობის აღსანიშნავად შემოღებულ იქმნა სახელწოდებანი: „რომის-კათოლიკე“, „სომეხ-კათოლიკე“, „ქართველ-კათოლიკე“ და სხვანი.

თუ რომ ეს სახელწოდებანი ერთსა და იმავე დროს ჰნიშნავენ რომელისამე კაცის ეროვნებას და იმისავე სარწმუნოებას, მაშინ ევროპიელი ყველა კათოლიკენი რომაელებად უნდა ჩავთვალოთ და არა ფრანგებად, პოლონელებად და სხვად, რადგანაც ყველა ისინი რომის კათოლიკენი არიან. ხოლო თუ სიტყვა „რომის-კათოლიკე“ არ აღნიშნავს ეროვნებას, მაშინ რად უნდა ვიგულისხმოდეთ ეროვნება ამ სიტყვებში: „სომეხ-კათოლიკე“, „ქართველ-კათოლიკე“ და სხვანი, ერთის სიტყვით, მაშინ, როდესაც „კათოლიკე“-ს ერთვის სახელი ამა თუ იმ ეროვნებისა?

წარმოვიდგინოთ ფრანგი ანუ ისპანიელი-კათოლიკე, რომელსაც რაიმე მიზეზით სომეხ-კათოლიკეთა წირვის წესი მოეწონა, რომელიც თავისი გულის თქმას აჰყვამ და ამ

ეკკლესიის - „სომეხ-კათოლიკეთა“ - მიმდევარი გახდა. რასაკვირველია ამითი ფრანგი სომეხად არ გარდაიქცევა და რომ ვინმე შეეკითხოს, რა ეროვნებისა ხარო, ის დაუყოვნებლივ მიუგებს: „მე ფრანგი ვარ სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა“-ო. თუ ამ შემთხვევაში ფრანგი სომეხად არ გადაიქცევა, მაშინ საკვირველია, რადა სცდილობენ, რომ ის ქართველები, რომელნიც სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად სომეხად გადაჰქმნან, ხოლო იმ ქართველებს, რომელნიც რომის კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად მოახვიონ კისერზედ „სომეხ-კათოლიკეთა წესები“, მაშინ როდესაც თვით კათოლიკობა ამ შემთხვევაში სრულს თავისუფლებას ანიჭებს კაცს ნება-დართულის წირვის ამა თუ იმ წესის ანუ ფორმის აღსრულების მხრივ.

სწორედ საკვირველი და უცნაური იქმნებოდა, რომ საქართველოში, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლო ესა თუ ის სარწმუნოება ელიარებინა და სადაც ხელს არავინ უშლიდა, განსაკუთრებით იმის პოლიტიკურად არსებობის უკანასკნელ დროს, კათოლიკეთა ქადაგებასა და ამ სარწმუნოების გავრცელებას, ერთს ალაგას არ იყვნენ ქართველები: რომის-კათოლიკენი, სომეხ-კათოლიკენი და ქართველთ-კათოლიკენი, სწორედ ისე, როგორც არიან სომეხები რომის-კათოლიკენი, სომეხ-კათოლიკენი და, უთუოდ, ქართველ-კათოლიკენიც კი.

ამ შეხედულობათა და აზრთა არეგ-დარეგას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ არამცთუ უბრალო, გაუნათლებელი ხალხი, არამედ განათლებული საზოგადოებაც სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთმანეთისაგან არ არჩევენ, აგრეთვე სიმრავლე წესისა ენათა სხვა-და-სხვაობის გამო და განსაკუთრებით არსებობა სომეხთა ცალკე საერო ეკკლესიისა, რომელიც აერთიანებს სარწმუნოებასა და ეროვნებას. ძნელად წარმოსადგენია, თუმცა დედა აზრის მხრივ-კი შესაძლებელია, რომ სომეხი ან ებრაელი მართლ-მადიდებელი იყოს, ან რუსი და ქართველი სომეხთა სარწმუნოებას მისდევდეს.

ამ ჟამად, რაღაც მიზეზისა გამო, კავკასიაში ქართველ-კათოლიკეთა არსებობას უარსა ჰყოფენ, ის ქართველნი, რომელთაც მტკიცედ დაიცვეს ამ სარწმუნოების წესები კონსტანტინოპოლს შეეკედლნენ, სადაც მათ საკუთარი ეკკლესია აქვთ. ამ ეკკლესიაში ქართულს ენაზედ სრულდება წირვა-ლოცვა, რომელიც გარეგანად ძალიან განსხვავდება რომისა და სომეხ-კათოლიკეთა წირვისაგან. ქართველ-კათოლიკენი, ამას გარდა, აღიარებენ მართლ-მადიდებელ ქართველ ეკკლესიის ზოგიერთა წმინდანებსაც.

თუნდა შევიწყნაროთ ის აზრი, რომ ამ ჟამად საქართველოში არ არის ცალკე ქართველ-კათოლიკეთა სარწმუნოება, როგორც კათოლიკეთა ეკკლესიის ცალკე დარგი, მაინც არ შეგვიძლიან უარ ეუყოთ ის, რომ ბლომად მოიპოვება ისეთი ქართველი, რომელნიც აღიარებენ კათოლიკეთა სარწმუნოებას. სახელ-წოდება „ქართველთა კათოლიკე“, ისე, როგორც „სომეხი კათოლიკე“ აღნიშნავს ამა თუ იმ ადამიანის ეროვნებასა და სარწმუნოებას, სულ ერთია, კათოლიკეთა ეკკლესიის რომელ დარგსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი: რომის-კათოლიკეთა თუ სომეხ-კათოლიკეთა. განა საეჭვოა, მაგალითად, რომ გვარამაძე ძველი, ქართული გვარია? ის კაცი, რომელიც ქართლში ამ გვარს ატარებს და რომელიც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს, ყველა ქართველად სთვლის, - თუმცა იმავე გვარის სხვა კაცს მესხეთში, რომელიც თუნდა სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებდეს, რაღც მანქანებით სომეხად ხდიან! თავად თუმანიშვილის გვარში არიან მართლ მადიდებელნიც, გრიგორიანნიც და რომის კათოლიკენიც. პირველნი ქართველებად ითვლებიან, მეორენი სომეხებად, ხოლო მესამენი

თუმცა თითონ თავიანთს თავს ქართველებად სთვლიან, რილასთვისაც უნდათ სომხებად გაჰყავდნენ. არის აგრეთვე გვარი მაისურაძე, მაისუროვი და მაისურიანცი. მაისურაძეები მართლ-მადიდებლები და სომეხ-კათოლიკენი არიან, მაისუროვები - ქართველები რომის - კათოლიკენი და მაისურიანცები (დაბოლოვება შეცვლილია) - გრიგორიანები, რომელნიც თავიანთს თავს სომხებად სთვლიან. მაგრამ არიან რომის-სარწმუნოების ისეთი ქართველი ოჯახებიც, სადაც ორ ძმათა შორის ოფიციალურად ერთი რომის-კათოლიკედ ითვლება, მეორე-სომეხ-კათოლიკედ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სომეხ-კათოლიკეთა მღვდლის - მიერ იქმნა მონათლული (რადგანაც ამ დროს რომის კათოლიკეთა პატრი ვერ იშოვეს) და სომეხ - კათოლიკეთა ეკკლესიის დავთარში იქმნა ჩაწერილი. ასეთი მარგალიტები უთვალავია, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა სომეხ კათოლიკე სომეხი არ არის, ესეც საკმარისად მიგვაჩნია.

ეხლა გადავიდეთ და მოკლედ განვიხილოთ ის, თუ როგორ გავრცელდა კავკასიაში კათოლიკობა.

ეკკლესიათა განაწილების დროს, მე-XI საუკუნის დასასრულს, აღმოსავლეთში საქართველო საკმაოდ კულტურულს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მას შორიდგან ეცქირა და მონაწილეობა კი არ მიეღო იმ სარწმუნოებათა ბრძოლაში, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იყო ატეხილი. ყველა მსოფლიო კრებებში მონაწილეობის გარდა, სადაც მას თავის წარმომადგენლები ჰყავდა ხოლმე, საქართველო არც შინ იყო მოკლებული იმ სარწმუნოებრივ საგნების მიზეზით გამოწვეულ აღელვებასა და კამათს, რომელიც მთელს მაშინდელს ქვეყანას ალაპარაკებდა. ამ სხვათა დამოუკიდებლობის ორის საუკუნის განმავლობაში განცალკევებული იყო და თავის საერო ეკკლესიის თვით-მყოფობას მტკიცედ იცავდა. მე-XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევის გამო საქართველო ორ სახელმწიფოდ განაწილდა და იმის საუკეთესო პროვინცია მესხეთი, რომელსაც ათაბეგნი განაგებდნენ, აღარ დაემორჩილა საქართველოს მეფეებს. ასეთის გარემოების წყალობით ამ ადგილებში გაძლიერდა რომის-კათოლიკეთა სწავლა-მოდვრების ქადაგება და ნელ-ნელა სამცხე-საათაბაგომ კათოლიკობა მიიღო, ამ ნაწილის (ქალაქი ახალციხე და ზოგიერთი სოფლები: უდე, ვალე, ზიზაბავრა, არალი, ბარალეთი და (სხვანი) მცხოვრებელთ აიღეს რომის პაპისგან ქართულს ენაზედ ღვთის-მსახურების გარდახდის ნებართვა და ზოგიერთი სხვა უფლებანი და სათავე დაუდეს ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიას.

იმის გარდა, რომ ახალციხის მაზრის ზემო ჩამოთვლილ ზოგიერთ სოფელში, სადაც ეხლა წირვა ღოცვა სომხურ ენაზედ სრულდება, დარჩენილი საეკკლესიო წიგნები და სხვა ნივთები ჰმოწმობს იმას, რომ ძველადგანვე ამ ადგილებში წირვა-ღოცვა ქართულს ენაზედ იყო, ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ შემდეგი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც ამკარად ამტკიცებს ქართველ-კათოლიკეთა არსებობას იქ, სადაც ყველანი სომეხ კათოლიკებად ითვლებიან, და თუმცა სომხურის ენის არა ესმით-რა მაინც იძულებულნი არიან ამ ენაზედ წირვა-ღოცვა მოისმინონ, ყველა ზემოდ დასახელებული სოფლები ახალციხის გარშემო მდებარეობს და მესხეთის შუაგულს შეადგენენ. ამ შუაგულის გარშემო დღეს ჩვენ ვხედავთ გამაჰმადიანებულ ქართველებს და აქა-იქ ოსმალებსაც, მაშინ, როდესაც შუაგულს დღემდე ქრისტიანობა და მასთან კათოლიკეთა სარწმუნოების ქრისტიანობა აქვს შერჩენილი. რით აიხსნება ეს მოვლენა? როგორ მოხდა, რომ ოსმალებმა, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ისლამს საქართველოს ამ პროვინციის

გარშემო მართ-მადიდებელ მცხოვრებთა შორის, მოახერხეს მაჰმადიანობის დამყარება და შუაგულში კი ვერა? სწორად ისე, რომ ამ შუაგულში იმ დროს დასახლებულნი იყვნენ კათოლიკენი, რომელთაც ოსმალები ხელს ვერ ახლებდნენ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთ სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულების ძალით, ეს გარემოება ახალს ჯვაროსანთა ომს გამოიწვევდა და ოსმალეთი განსაცდელში ჩავარდებოდა.

ქართველ-კათოლიკეთა არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქმნას არა მარტო თეორიული მოსაზრებით, ამისათვის საკმარისია გადავიკითხოთ დაბა ართვინის კორბოლის ეკლესიის-აწ სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია, - მატთანე. ეს ქართულ ენაზედ დაწერილის მატანე ხელში უჭირავს სამღვდელოებას, რომელმაც ქართულის ენის არაფერი იცის და ძმობის ბეჭედ-დასმული დაკეტილში აქვს შენახული. იგი ეკლესიის სიწმინდედ ითვლება და იმისი ნახვა სამღვდელოებისა და მრევლის უვიცობისა გამო არავის შეუძლიან.

საქართველოს სამეფოს განაწილების შემდეგ, მე-XIV საუკუნის დასაწყისს, მესხეთი განშორდა საქართველოს და იქ ცალკე სამთვრო შესდგა სამცხე-საათაბაგოს სახელით (1306 წელს). მხოლოდ 1579 წელს დაჰკარგა მან თავისუფლება: იგი ოსმალეთმა დაიპყრო.

ოსმალეთმა დაიპყრო რა სამცხე, მე-XVII საუკუნის ნახევრამდე იმის შინაურ საქმეში აქ იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ ამ ხნიდან დანიშნა იქ თავისი ფაშა და მოსთხოვა სამცხეს ათაბაგებს, რომ მაჰმადიანობა მიეღოთ. მთლად ამ ხნის განმავლობაში, მე-XIV საუკ. დაწყებული მე-XVII საუკუნემდე, სამცხეს მცხოვრებლებს მხოლოდ ქართველები შადგენდნენ, რომელთა ერთი ნაწილი აღიარებდა მართლ-მადიდებლობას, მეორე-კათოლიკობას. დღემდის დარჩენილი კათოლიკეთა იმ დროის ეკლესიები და სხვა ნაშთები აშკარად ჰმოწმობენ, რომ მესხეთის მცხოვრებლებს მაშინ არც-კი გაეგონათ სომხური ენა და რომ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდა.

ამ რიგად კათოლიკობა საქართველოში პირველიდგანვე თავისუფალ ფაქტორს წარმოადგენდა. ჯვაროსანთა უკანასკნელ ომის შემდეგ კათოლიკობა უფრო გავრცელდა მისიონერების წყალობით, რომელნიც, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით, თავისუფლად მიდიოდნენ მცირე აზიის ყველა ადგილას და ქრისტეს მოძღვრებას ჰქადაგებდნენ, ევროპელთა და მათთან ერთად კათოლიკეებს ოსმალები „ფრანგებს“ ეძახდნენ, და მაშინ, როდესაც სხვა ქრისტიანებს ოსმალები სტანჯავდნენ და ძალიან ამაჰმადიანებდნენ, „ფრანგებს“ ანუ კათოლიკეებს ევროპის სახელმწიფოთა შიშით ვერაფერს უბედავდნენ.

მისიონერები საქართველოში შემოდიოდნენ უმთავრესის სავაჭრო გზით, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ტრაპეზუნდზედ მესხეთში და შემდეგ ქართლში გადმოდიოდა. ეს გზა მდ. ჭოროხის, ფოცხოვის და მტკვრის ხეობებზედ გადიოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ კათოლიკობა ჯერ მესხეთში გავრცელდა და შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

თავდაპირველად მისიონერებს კათოლიკობის უფრო ადვილად გავრცელება შეეძლოთ იმ ქრისტიანეთა შორის, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზედ სცხოვრობდნენ და რომელთაც ქრისტიანობისა ჯერ კიდევ შერჩენოდათ რამ, ხოლო შემდეგ იმ ქრისტიანეთა შორის, რომელნიც ოსმალეთის საზღვრების მახლობლად მოსახლეობდნენ. იმ დროს, როდესაც მაჰმადიანობა ცეცხლითა და მახვილით

ვრცელდებოდა, კათოლიკობა ძლიერის პაპების წყალობით, ერთადერთი თავშესაფარი იყო, სადაც ქრისტიანებს უშიშრად შეეძლოთ ცხოვრება. ქრისტიანები დიდის სიამოვნებით იღებდნენ კათოლიკობას და „ფრანგებად“ იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მაჰმადიანობისაგან დაეღწიათ თავი და ევროპის მფარველობის ქვეშ უშიშარ ეყოთ თავიანთი სიცოცხლე. სიტყვას „ფრანგს“ ეხლაცა ჰხმარობენ ახლციხის მაზრის კათოლიკენი, რომელთა აზრით კათოლიკე და ფრანგი ერთი და იგივეა. ქ. ახალციხისა და უდეს, ვალეს, ხიზაბავარს და სხვა სოფლების, სადაც კათოლიკენი არიან, მცხოვრებელთა რომ ჰკითხოთ, რა სარწმუნოების ხარო, ან უბრალოდ-ვინა ხარო, გიპასუხებთ: „მე ფრანგი ვარო“! ხოლო არავინ არ იტყვის: „სომეხ-კათოლიკე“, ან „რომის-კათოლიკე ვარო“. ამ ჟამდაც საქართველოში სიტყვა „ფრანგი“ კათოლიკესა ჰნიშნავს.

ზემო დასახელებულ სავაჭრო გზას რომ დაადგეთ და გაემგზავროთ იმ გზით ბათუმიდან ტფილისისკენ, მდ. ჭოროხსა, ფოცხოვსა და მტკვრის ხეობებზედ, ყოველთა უწინარეს ბლომად შეგხვდებათ კათოლიკენი დ. ართვინს, ართანუჯსა, შავშვეთსა, ახალციხესა და ახალციხის მაზრის სოფლებშიო, შემდეგ გორსა, ტფილისსა და ბოლოს ქუთაისში.

ამ ადგილებიდან კათოლიკენი სხვა და სხვა დროს და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მთელს კავკასიას მოედნენ.¹¹

(მეორე ნაწილი) მართლმადიდებელ საქართველოს შუაგულ და იმის სატახტო ქალაქ ტფილისში კათოლიკობის გავრცელება ისე ადვილი არ იყო, როგორც განაპირა ადგილებში, მაგრამ აქაც, სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოების წყალობით, კათოლიკობამ ფეხი მოიკიდა და შედარებით ჩქარა გავრცელდა.

მე-XVIII საუკუნის დასაწყისს კათოლიკეთა მისიონერებს მთელს საქართველოში დიდი სახელი გაუვარდათ, იმათ პატივსა სცემდა არა მარტო უბრალო ხალხი, არამედ სასახლის კაცები და თვით მეფენიც. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მისიონერებმა კარგად იცოდნენ მკურნალობა და დიდს დახმარებას უწევდნენ ხალხს. როგორც უკვე ყველამ უწყის, კათოლიკეთა გავლენას ვერ ასცდა საქართველოს ეკლესიის უმთავრესი წარმომადგენელი კათოლიკოსი ანტონი-კი. თუმცა მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კათოლიკეებს ქართველებმა დევნა დაუწყეს, იმათი ეკლესიები დაანგრიეს და თვით მისიონერები საქართველოდან განდევნეს, მაგრამ 1758 წელს უეჭიმობამ (რაც ავადმყოფობა, მგონი შავი ჭირი მძვინვარებდა ამ დროს საქართველოში) აიძულა მეფე ირაკლი თავისი და ანა გაეგზავნა ახალციხეში და განდევნილი მისიონერები უკანვე მოეწვია. ამასთან მეფე ირაკლი დაჰპირდა იმათ მფარველობას, ეკლესიების აღდგენასა და ჯამაგირი-კი დაუნიშნა, თითოეულს წელიწადში 300 მანეთი.

მისიონერები დაეთანხმნენ, უკანვე დაბრუნდნენ ტფილისში და დიდის მეცადინეობით მოჰკიდეს ხელი ხალხის მკურნალობა ექიმობას.

უბრალო, გაუნათლებელ ხალხს შორის სასიამოვნო საქმეში მკურნალობა სამისიონერო იარაღია და აი, სწორედ ამ იარაღით სარგებლობენ პატრები. ამას გარდა იმათ დიდ დახმარებას უწევდნენ სკოლები, სადაც პატრები სარწმუნოების განურჩევლად ყველას ასწავლიდნენ. შესანიშნავს მოგზაურს შარდენს, რომელიც ტფილისში 1671 წელს იყო, უნახავს აქ მისიონერ-კაპუცინთა მიერ დაარსებული 12 სასწავლებელი. ეს მისიონერები

¹¹ გაზ. „ივერია“, 1897, #226, გვ. 1-3.

სულ 30 წელიწადი იყო მხოლოდ, რაც რომიდგან გადმოსულიყვნენ. მისიონერები მკურნალობასაც ძალიან მისდევდნენ და ამ აზრით მათ სასწავლებელიც-კი დააარსეს, „თუმცა მოსწავლეებით ძალიან ღარიბი იყო“. ოც-და-ათის წლის შემდეგ, 1701 წელს ტფილისი დაათვალიერა საფრანგეთის მეორე მოგზაურმა ტურნეფორმა. ტურნეფორის სიტყვით, ტფილისის 20,000 მცხოვრებთა შორის 500 რომის კათოლიკე ყოფილა. თუმცა ამ კათოლიკეთ ტურნეფორი სომხებს ეძახის, მაგრამ საეჭვოა, რომ ყველანი სომხები ყოფილიყვნენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სომხები, რომელნიც კათოლიკეებად ხდებოდნენ, პაპისაგან იმის ნებართვას იღებდნენ, რომ დარჩენოდათ თავიანთი ძველი, საეროვნო წეს-რიგი სომეხთა წირვისა, წმინდანები ისევე ელიარებიანთ და სხ. ამას გარდა, პაპმა „აღუკრძალა კათოლიკეთა მისიონერებს, რომ ნუ აცდებიან და სომეხ-კათოლიკეთ ლათინთა ეკკლესიას ნუ შეუერთდებიან. მერე კიდევ იმიტო, რომ „კაპუცინები ძალიან უყვარდათ საქართველოში“, როგორც ამბობს შემდეგ ტურნეფორი. შეუძლებელია, ამ სიყვარულს უბრალოდ ჩაეველო და კაპუცინებს არავითარი გავლენა არა ჰქონოდათ ქართველებზედ, მით უმეტეს, რომ საქართველოს იმ დროის მეფეები მაჰმადიანები იყვნენ და, მაშასადამე, მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დიდს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა იმათ, ვინც კათოლიკობის მიღებას მოიწადინებდა.

ამავე დროს მიაღებინეს კაპუცინებმა კათოლიკობა საქართველოდგან სპარსეთში გადასახლებულ და იქ გამაჰმადიანებულ ქართველ თავადაზნაურთა: ბარათაშვილებს, სუმბათაშვილებს, ერისთავებს, ორბელიანებს, ჩოლოყაშვილებს, ანდრონიკაშვილებს, ყანდარელებს, მიზანდარელებს, ბილანიშვილებს, შიხნელებს, ჩხეიძეებს, ჯაყელებს (ჯაყელთა გვარეულობის ერთმა შტომ წინადავე ჯავახეთში მიიღო კათოლიკობა) და მრავალ სხვათაც.

საქართველოსა და ოსმალეთის ქართველებს შორის კათოლიკობის გავრცელებასთან ერთად მისიონერები აგებდნენ ეკკლესიებს, სადაც წირვა ლათინურ ენაზედ სრულდებოდა და მხოლოდ სახარებასა და ქადაგებას ქართულს ენაზედ კითხულობდნენ.

ქართულს ენას მისიონერები წინად ალაგობრივ სწავლობდნენ, ხოლო შემდეგ, როდესაც რომში ქართულის ენის კათედრა და სტამბა იქმნა დაარსებული, იქვე სწავლობდნენ ქართულ ენასაც და საქართველოში ისე მიდიოდნენ. ამასთანავე მათ ჰქონდათ ლათინურის ენიდან ქართულს ენაზედ გადმოთრგმნილი ლოცვები, რომელთაც საქართველოს კათოლიკეთა ეკკლესიებში ჰგალობდნენ ხოლმე. ახალციხეში რომის კათოლიკეთა ეკკლესიებთან ერთად სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიები იყო, თუმცა 1829 წლამდე სომეხ-კათოლიკეთა ორი-სამი ოქმი ძლივს მოიძებნებოდა. სომეხ-კათოლიკეთა ყველა ეკკლესიაში წირვა სომხურ ენაზედ სრულდებოდა, მხოლოდ სახარებასა და ქადაგებას ჰკითხულობდნენ ქართულ ენაზედ, აგრეთვე გალობაც ქართულად იყო ხოლმე.

ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ სომეხ კათოლიკეთა უმეტესობას არ ესმოდა და ეხლაც არ ესმის სომხური ენა, რადგანაც ეროვნებით ისინი ქართველები არიან. თუმცა ბევრს უცნაურად ეჩვენება ის გარემოება, რომ ქართველი-კათოლიკენი, რომელთაც სომხური ენა არ ესმით, წირვა-ლოცვას სომხურ ენაზედ ასრულებენ, მაგრამ ეს ადვილად აიხსნება იმით, რომ კონსტანტინეპოლს მაშინ დიდი გავლენა ჰქონოდა ახალციხეზედ.

ახალციხეს, როგორც ფაშალიკის სატახტო ქალაქს და სავაჭრო ადგილს, მუდამ მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ჰქონოდა ხოლმე კონსტანტინეპოლთან. ახალციხე იმ

საქონლის საწყობ ადგილად იყო გადაქცეული, რომელსაც საქართველოდგან, სპარსეთიდგან და შორეულ აღმოსავლეთიდგან მოეზიდებოდნენ ხოლმე. შემდეგ აქედგან ამ საქონელს დიდის ქარავნებით აჭარისა და ჭოროხის ხეობით სტამბოლში ისტუმრებდნენ. ახალციხის მცხოვრებლებს იმ ჟამად ქართველები და ოსმალები შეადგენდნენ. ოსმალები უმეტესად მოხელები იყვნენ, იმათ ქვეყნის მართვა-გამგეობა ეჭირათ ხელში, ხოლო ქართველები მეურნეობასა და ვაჭრობას უფრო მისდევდნენ. სამშობლოს მოწყვეტილი აქაური ქართველი-კათოლიკენი ჩამორჩნენ ქართულ კულტურას, დამწერლობას. იმათთვის გონებითი საზრდო ეხლა კონსტანტინეპოლიდგან მოდიოდა, სადაც იმათს ერთმორწმუნე კათოლიკეებს სწავლა-განათლების მისაღებად ადგილები ჰქონდათ. ახალციხეში ქართველ კათოლიკეებს, როგორც რომის-კათოლიკეთ, აგრეთვე სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიებთან თავიანთი სკოლები ჰქონდათ, სადაც ყმაწვილებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. შეძლებული ქართველები, ამას გარდა, თავიანთ შვილებს კონსტანტინეპოლში ჰგზავნიდნენ და იქ წინად სომეხ-კათოლიკეთა ხოლო შემდეგ მხიტარისტობის დროს, ამ სკოლებში აძლევდნენ ხოლმე. ამათ სწავლა-მოდღერების ნიადაგზე აღზრდილი ქართველები სამშობლოში მღვდლებად ბრუნდებოდნენ და სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებთან ერთად ხელს უწყობდნენ სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის დამკვიდრებას. ამ საქმის სისრულეში მოყვნა მით უფრო ადვილი იყო იმისთვის, რომ რომს დროთა ვითარების გამო გავლენა ოსმალეთში თანდათან ეკარგებოდა და ამავე დროს სომეხ-კათოლიკეთა მნიშვნელობა დღითი-დღე ჰმატულობდა. ამ რიგად ამ საუკუნის დასაწყისს ახალციხის კათოლიკეთა სამს ეკკლესიათაგანში, - თუ არ ჩავთვლით მეოთხეს, რომელიც ახალციხითგან ორის ვერსის სიშორეზედ, სოფ. ივლიტაში იმყოფებოდა, წირვა მხოლოდ ერთში სრულდებოდა ლათინურს ენაზედ, ე. ი. რომის კათოლიკეთ მხოლოდ ერთი ეკკლესია ეკუთვნოდა, დანარჩენ სამში, მათ შორის სოფ. ივლიტის ეკკლესიაშიც, - სომხურზედ იყო წირვა-ლოცვა. ამიტომ ნამდვილად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ახალციხის ქართველ-კათოლიკეთაგან სამი მეოთხედი სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის მომხრე შეიქმნა და მხოლოდ ერთმა მეოთხედმა არ უღალტა რომის-კათოლიკეთა წესებს. ამ ერთად ერთს რომის კათოლიკეთა ეკკლესიას დღემდე დამოუკიდებლობა აქვს შერჩენილი და „პატარა ეკლესია“ ეწოდება.

ყოველგვარი ბრძოლა სომეხ და სომეხ-კათოლიკეთა შორის, კონსტანტინეპოლში დაწყებული, უეჭველად ახალციხეშიაც იჩენდა ხოლმე თავს. გამარჯვება, რასაკვირველია, უმეტესობის მხარეს იყო. ამ დაუსრულებელ ბრძოლის დროს, რომლის ისტორიის მოთხრობაც ჩვენის წერილის ზარს არ შეადგენს, ოსმალეთის მთავრობა მუდამ სომეხ-კათოლიკეთ უჭერდა მხარს. ოსმალეთის მთავრობას აზრად ჰქონდა სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის გაძლიერებით ქართველთა დასუსტება, რომ იმათ წინააღმდეგობა ვეღარ გაეწიათ იმ ქართველებისთვის, რომელნიც მაჰმადიანობის მიღებას მოიწადინებდნენ. სომეხების გაძლიერებისა მაშინ ოსმალებს არ ეშინოდათ: ამ ჟამად ატეხილი სომეხთა საქმე სულ უკანასკნელის დროის ნაყოფია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოსმალეთის მთავრობა, რადგანაც ქართველ-კათოლიკენი, სომეხ-კათოლიკებთან შედარებით, ოსმალეთშიც ცოტანი იყვნენ, ქართველ-კათოლიკეთ უქვემდებარებდა სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის სასულიერო წარმომადგენელს, რომლის სამყოფელი ბინა კონსტანტინეპოლში იყო.

ამას გარდა ხშირი ქორწინება და ნათესაობა სომეხ-კათოლიკეთა და რომის კათოლიკეთა წესის მიმდევარ ქართველებს შორის აიძულებდა ხოლმე რომის-კათოლიკეთ, რომ უმრავლესობის სურვილს დაჰმორჩილებოდნენ, მით უმეტეს, რომ ეს ბრძოლა ერთმორწმუნეთა შორის იყო, რომელნიც მას მღვდლის ჟინიანობადა სთვლიდნენ და ხშირად ამ საქმეში ხელმძღვანელობდნენ იმით, თუ რომელი პატრი ანუ ტერტერა უფრო მოსწონდათ.

რუსების მიერ ახლციხის დაჭერისა და იქ სომხების გადმოსახლების შემდეგ სომეხ-კათოლიკობის ადგილობრივი მომხრენი უფრო გაძლიერდნენ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მხოლოდ სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებისგან შესდგებოდა.

როდესაც ახლციხე ოსმალეთს განშორდა, კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა გავლენა ახალციხის და იმის მაზრის ქართველ-კათოლიკეზედ მისუსტდა, რადგანაც ახალციხის სომეხ კათოლიკეთ, ათსგვარ განსაცდელის მიუხედავად, ამ დროს განაახლეს ერთობა და კავშირი თავიანთ მოძმე ქართველებთან და თავიანთის ეროვნების აღდგენას მიყვას ხელი. ქართველ-კათოლიკეთა ამ განზრახვას ხელი შეუწყო ახალციხის სომეხ კათოლიკეთა ქართველებისა და ტფილისისა, გორისა და ქუთაისის რომის-კათოლიკეთ ქართველების ერთმანეთს შორის დაახლოვებამ და დანათესავებამ. კონსტანტინეპოლის სომეხ კათოლიკეთ აღარ შეეძლოთ ხელი შეეშალათ დროებით დაჩაგრულ და გასომხებულ ქართველ-კათოლიკეთათვის. რასაკვირველია, საქმის ასე წაღმა დატრიალება არ ესაიძვნათ სომხებს, რომელთაც მალე მომხრენი შეიძინეს გავლენიან და წარჩინებულ კაცთა შორის. ეს გარემოება-კი, როგორც ამ ბოლოს დროს ოსმალეთში მომხდარმა ამბებმა დაამტკიცეს, სახელმწიფო ინტერესების მხრივ რომ შევხედოთ, მხოლოდ შეცდომაა და სხვა არაფერი.

ქართველ-კათოლიკეთა იმ მეცადინეობამ, რომ თავიდგან მოეშორებინათ ძალად ნაკისრები სომხობა დაჰბადა კათოლიკეთა შორის ახალი ბრძოლა: თითქმის ყველა ქართველ სომეხ კათოლიკეთ სომეხ-კათოლიკობას თავი დაანებეს და რომის კათოლიკებათ შეიქმნენ. ისინი მოწადინებულნი არიან სამუდამოდ მოიშორონ სომეხთა გავლენა. იმათ მოითხოვეს, რომ ქ. ახალციხის ძველ ნაწილს და ახალციხის მაზრის სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიებში წირვა უეჭველად ლათინურს ენაზედ იყოს, ხოლო გალობა, სახარების კითხვა და ქადაგება ქართულად, სხვანი თუმც თანახმანი იყვნენ, რომ წირვა სომხურს ენაზედ ყოფილიყო, მაგრამ გალობა და სხვა ქართულად მოითხოვეს. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც წინადადება შეიტანეს, რომ ეკკლესიებში ძველ ქართველ-კათოლიკეთა წესი იქმნას შემოღებული, ე. ი. წირვა-ლოცვა სულ ქართულ ენაზედ იყოს.

ამ უკანასკნელის აზრის განხორციელება მოახერხა, პაპის ნებართვით, კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენმა, ხოლო პაპმა ნება-დართო იმიტომ, რომ ვატიკანში ნაპოვნმა საბუთებმა დაამტკიცეს, რომ ოდესმე წირვა-ლოცვა ქართულ ენაზედ ყოფილა.

ახალციხის მაზრის კათოლიკეთა შორის ბრძოლას მაშინ მოელო ბოლო, როდესაც ოფიციალურად ქართველ-კათოლიკენი სომეხ-კათოლიკებად იქმნენ ცნობილნი, როგორც ეროვნებისა, ისე სარწმუნოების მხრივ და როდესაც კათოლიკეთა ეკკლესიებში ქართულ ენაზედ წირვა - ლოცვის შესრულება აღკრძალულ იქმნა. ამ ბრძანების წყალობით ათასმა კათოლიკე ქართველმა ვერ შესძლო ღვთის ვედრება თავისს სამშობლო ენაზედ. ქართველ-

კათოლიკეებზე არც სომხური და არც ლათინური ენა არ ესმით, ამიტომ ეკკლესიაში გამოშტერებულები დგანან და ვერ გაუგიათ წირვა-ლოცვის აზრი და მნიშვნელობა.

ექვს გარეშეა, რომ ყველასათვის ძვირფასია თავისი ეროვნება, რომ ყველა მოწადინებულია იყოს ნამდვილად ის, რადაც ღმერთმა გააჩინა.

ამიტომ ძალიან საკვირველია ის მოვლენა, რომ სომეხ კათოლიკეთა შორის გამოჩნდნენ ისეთი კაცები, რომელნიც უარს ჰყოფენ თავიანთ სომხობას, თუ ნამდვილად ისინი სომხები არიან!..

საკვირველი არის და უცნაურიც, რომ ესა თუ ის ადამიანი დარწმუნებით, დაბეჯითებით ამბობს, მე ამ ეროვნებას ვეკუთვნის, და სხვები კი გაიძახოდნენ, არა, შენ მაგ ეროვნებისა არა ხარო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელი საყოველთაო აღწერა აშკარად დაამტკიცებს, რამდენია ქართველ-კათოლიკე და უარ-ჰყოფს აწ არსებულ რაოდენობას, რომელთა მიხედვით, მაგალითად, მთელ ახალციხის მაზრაში არც ერთი ქართველი არ არის.

ის, რაც ოსმალეთის პოლიტიკამ ქართველთა გასომხების საქმეში ვერ მოახერხა ახალციხეს, - ადვილად აღსრულდა ართვინში განსაკუთრებულ მიზეზთა წყალობით და იმის გამო, რომ ეს მხარე დაშორებული იყო საქართველოს.

ართვინის აწინდელ მცხოვრებლებს შეადგენდნენ ან იდგნენ დიდის ხნის გადმოსახლებულნი სომეხ-გრიგორიანნი და იქაური მკვიდრი მცხოვრებელი სომეხ-კათოლიკენი. ეს ორი ვითომდა ერთის ტომის კრებული კათოლიკეთა მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც სახის მზგავსებით, აგრეთვე ენითა და ზნე-ჩვეულებით, მათ შორის საშინელი სიძულვილი ჰქონდათ. პირველნი ნამდვილს სომხებსა ჰგვანან, ხოლო მეორენი ქართველთ, აქ ქართველთა ტიპი და ზნე-ჩვეულება კარჩაკეტილის ცხოვრების წყალობით უფრო შენახულია, ვიდრე თვით საქართველოში.

სომეხ-გრიგორიანთა ენა სომხურია, სომეხ-კათოლიკეთა, თუ ყველასი არა, უმეტესობისა მაინც, - ქართული. არამც თუ მარტო ისეთი სიტყვები, როგორც მამა, დედა, გოგო, ბიძა და სხვა და სხვა, არამედ მთელი წინადადებათა ქართული აქვთ, საკვირველი არევ-დარევაა, რომელიც აშკარად ამტკიცებს დიდის ხნის ბრძოლას ორ ენას შორის. ზოგიერთ წინადადებაში ხშირად ერთი სიტყვა სომხურია ხოლმე (უმეტესად ზმნა). მაგალითებრ, წინადადებაში: „ბიძის გოგოი მზითვები ბერელისენ“ - სამი პირველი სიტყვა ქართულია, ხოლო უკანასკნელი-სომხური. მეორე მაგალითი: „ვაზის ფოთლი საბძელი ტანელისენ“. სამი პირველი სიტყვა ქართულია, უკანასკნელი-სომხური. ძალიან იშვიათია, რომ სომეხ კათოლიკეთა წინადადება წარმოსთქვან და ერთი ქართული სიტყვა მაინც არ დაატანონ. სიტყვებს „რა თავმდაბალია“, „მაინც“, „მხარ-ბეჭი“, „გადარეული“ და მრავალ სხვას თითქმის ყოველ წამს გაიგონებთ.

ხეების, მწვანეულობის და ხეხილის სახელები სულ ქართულია, ქართული ენა შერჩა მათ საყმაწვილო სათამაშოებშიაც. თამაშობის დროს ბავშვები ყოველ წამს ქართულ სიტყვებს იმეორებენ. იმათ გამოცდილებით იციან, რომელი სიტყვა რასა ჰნიშნავს. მაგალითად: „ღინღილო! ოქროღილო! ქალი ვინა? მე გახლავარ! დე მობრძანდი! ანუ, კეკე მალულობის თამაშობის დროს ისინი ამბობენ: „გათენდა?“, „ჯერ არა!“ და მრავალი სხვა.

ეს სომეხ-კათოლიკენი უარს არა ჰყოფენ, რომ მათი წინაპარნი ქართველები ყოფილან და ამასთან კათოლიკენი. ბევრს კარგად ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი.“¹²

შ. ლომსაძე მიუთითებდა, რომ სომეხი კათოლიკენი ისე, როგორც სომეხ-გრიგორიანნი, თურქებსა და ირანელებსაც XV-XVIII საუკუნეებში „მიუმხრობელი“ და „უწყინარი“ რელიგიის წარმომადგენლებად მიაჩნდათ. ამიტომ თავიანთ ქვეყანაში მათ გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდნენ.“¹³ ბუნებრივია, რომ ოსმალთა და ირანელთა ხელისუფალნი დაინტერესებულნი იქნებოდნენ ე.წ. „საშიში“ მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი ე.წ. „უწყინარი“ გრიგორიანული ეკლესიის მრევლად ექციათ. რა თქმა უნდა, ეს ეხებოდა ადამიანთა იმ ნაწილს, ვისი ისლამზე მოქცევა შეუძლებელი იქნებოდა.

შესაბამისად, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე სომხური თემების პერმანენტული ზრდა. იმ იმედით, რომ სომხური ეკლესია ოსმალური პოლიტიკის საყრდენი იარაღის ფუნქციას შეასრულებდა, მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის სომხური სამწყსოს შემადგენელ ნაწილად გადაქცევის მცდელობები უცხო არ იყო საქართველოს არც ერთი კუთხისათვის. სომხური ეკლესიის მესვეურნიც აქტიურად იყენებდნენ რა „სულთნისგან ნაშოვნი სარწმუნოების თავისუფლებას“¹⁴ აქტიურად იყენენ ჩართული ქართული მოსახლეობის გადაბირებისა და ე.წ. „გასომხების“ პროცესში.

„მაჰმადიანთა ბატონობის დროს ქართული მოსახლეობა ძირითადად სომხურ ეკლესიას ეკედლებოდა, რაც გამოწვეული იყო სოციალ-ეკონომიკური მიზეზებით. სომხურ ეკლესიას შეეძლო ტყვეთა დახსნა და სამშობლოში დაბრუნება და ზოგიერთი მაჰმადიანი მბრძანებელი კრძალავდა სომხური მოსახლეობის შევიწროებასაც კი...“¹⁵

მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა 1811 წელს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვამ. სომეხი ეროვნების განსაკუთრებით გააქტიურებულმა მისიონერულმა საქმიანობამ და ე.წ. „გასომხების“¹⁶ პროცესმა უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა.

გრიგორიანულ ეკლესიას შეფარებულმა ქართველებმა უკეთეს შემთხვევაში სუსტად, უმრავლესად კი საერთოდ არ იცოდნენ სომხური ენა. ინარჩუნებდნენ ქართულ ენას, გვარ-სახელებს, წეს-ჩვეულებებს. მე-19 საუკუნის დამდეგისთვის ამ ადამიანთა რიგებს პერმანენტულად უერთდებოდნენ ქართველი ეროვნების ვაჭრებიც, რომლებიც სულ მალე უკვე სომხებად მოიხსენიებოდნენ. XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური კარლ კოხი ქართველი ეროვნების ვაჭრების

¹² გაზ. „ივერია“, 1897, #229, გვ. 1-3. (აღნიშნული წერილი, რომელიც ავტორს ბათუმიდან გამოუგზავნია, დაბეჭდილი იყო 1897 წლის გაზეთ „კავკაზში“ #284, #285, #286, ტექსტში განხილული პრობლემისადმი არსებული დიდი ინტერესის გამო გაზეთ „ივერიას“ უთარგმნია და ისე გამოუქვეყნებია).

¹³ შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბილისი, 1979, გვ. 41.

¹⁴ ბ. არველაძე, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?, თბილისი, 1996, გვ. 97.

¹⁵ ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია (XVII-XX საუკუნეებში), თბილისი, 2010, გვ. 195.

¹⁶ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხ. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1982.

შესახებ მიუთითებდა, რომ სავაჭრო საქმეებს ქართველები განაგებენ. „ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომხებად იწოდებიან.“¹⁷

ზემოთაც ვახსენეთ, რომ „ივერია“ მტკიცეულად განიცდიდა იმ თავნებობას და მიზანმიმართულ ანტიეროვნულ ქმედებებს, რაც ხორციელდებოდა ქართველთა „გასომხების“ გეგმიურ და თანმიმდევრულ პროცესში. მისი ფურცლები ხშირად ეთმობოდა შესაბამისი პრობლემის შესახებ მსჯელობას. იზაშვილის ზემოხსენებული ტექსტის შემდეგ, მალევე, გაზეთი ე. შილდელის¹⁸ საინტერესო საგაზეთო მასალით წარსდგა მკითხველის წინაშე.

ტექსტში გაანალიზებულია ქართველ კათოლიკეთა (ლათინური ტიპიკონის), ქართველ კათოლიკეთა (ე.წ. ქართული რიგის) და სომხური ტიპიკონის ქართველ კათოლიკეთა მსგავსება-განსხვავებანი. მინიშნებულია იმ მზაკვრულ ქმედებებზე, რომელთაც ჰქონდა ადგილი ეკლესიიდან ქართული ენის ამოძირკვისა და მის ნაცვლად სომხური ენის დამკვიდრებისათვის, სასულიერო და სახელმწიფო ჩინოვნიკთა აქტიურ ჩართულობაზე და მიკერძოებულ დამოკიდებულებებზე აღნიშნულ პროცესებთან მიმართებაში.

„რამდენადაც თვლ-ყური გვიდევნებია და შგვიმჩნევია, ქართველი კათოლიკეები ტიპიკონის ანუ ღვთის მსახურების აღსრულების წეს-რიგისა და გვარად განიყოფებიან სამ ნაწილად, ანუ სამ ჯგუფად: ა) პირველ ნაწილს ეკუთვნიან ის ქართველი კათოლიკენი, რომელთაც მიუღიათ როგორც დოღმატები, ისე გარეგანი საღვთის-მსახურო წესები და ენა ლათინთა ეკკლესიისა. ამას თავით ქართველი-კათოლიკენი უწოდებენ „ლათინურ ტიპიკონს“, ანუ „ლათინურს რიგს“, რადგანაც ყოველივე წესი იმათს ეკკლესიებში სრულდება ისე, როგორც რომის ანუ ლათინთა ეკკლესიაში. ამ ტიპიკონისაა, მაგალითად, ახალციხის ძველს ნაწილში ქართველ-კათოლიკეთა ღვთის-მშობლის ეკკლესია, რომელსაც ხალხი ეძახის „პატრებიანთ ეკკლესიას“. აქ ღვთის-მსახურება სრულდება ლათინურს ენაზედ, არღნით; ეკლესიის შინაგანი მოწყობილებაც იმ გვარია, როგორც საზოგადოდ ლათინთა ეკკლესიაში. ამ ეკკლესიასთან უკანასკნელს დროებში უცხოვრიათ შემდეგ რომის პატრებს: ბონავენტურას (შვეიცარელი), პატრ თომას (თემფილი), ფრანცისკეს, ამედიოს, პატრ ნიკოლას, დამიანეს (ვიარეჯიელი), ფლორენციოს და ქეროვიმეს. ყველანი კაპუცინები ყოფილან. პატრი თომა აქვეა დასაფლავებული. მისს საფლავის ქვაზედ შემდეგი მხედრული წარწერაა: „ქ-ნთ წელსა უფლისასა 1838-სა ივნისის 7-სა მოიხსენეთ პატრი თომა თემფიელი ქაფუჩინი“.

ბ) მეორე ჯგუფს შეადგენს ის ქართველი-კათოლიკენი, რომელთაც დასავლეთის ეკკლესიისგან მიუღიათ მხოლოდ დოღმატები, საეკკლესიო-საღვთისმსახურებო წესები-კი მართლმადიდებელ ეკკლესიისა შერჩენიათ. ამას უწოდებენ „ქართულ რიგს“. ამ რიგის ქართველი-კათოლიკეები საქართველოში, ვგონებ, აღარ უნდა იყვნენ, კონსტანტინეპოლში-კი, როგორც გამიგონია, ყოფილან. იქაურ ქართველ-კათოლიკეთა

¹⁷ რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული „დიდგორი“, თბილისი, 1991, გვ. 41.

¹⁸ შილდელის ფსევდონიმით მოღვაწეობდა ესტატე მატათიას ძე მირიანაშვილი (1866-1954) - იურისტი, მკვლევარი, პედაგოგი, პუბლიცისტი, სასულიერო პირი (იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 4, თბილისი, 1965, გვ. 609 და ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 5, ნაკვ. 1, თბილისი, 1967, გვ. 631.

ეკლესიებში ღვთის მსახურება სრულდება თურმე ისე, როგორც ჩვენს მართლ-მადიდებელს ეკლესიაში, ქართულს ენაზედ, მხოლოდ სწამთ პაპი და აღიარებენ რომის ეკლესიის დოღმატებს. იმათი კონდაკი, დაბეჭდილი ხუცურს ენაზედ, გვინახავს. იგი განერჩევა ჩვენს კონდაკს მხოლოდ იმით, რომ შიგ მოხსენებულია პაპი, წირვა-ლოცვის წესი ორივეში ერთნაირია. როგორც გამიგონია, ახალციხის ქართველი კათოლიკეებიც (მაგალითად ჯვარის ეკლესიისა და იოანე ნათლის მცემლის მრევლი) პირველად ქართულ ტიბიკონზედ ყოფილან: ჰქონიათ ყველა საჭირო წიგნები ქართულს ენაზედ და უსრულებიათ ღვთის-მსახურება და ყოველივე საეკლესიო წესები ისე, როგორც ჩვენს ეკლესიაში. შემდეგში ამათ მიუღიათ სომხური ტიბიკონი (წესები სომხის ეკლესიისა) და, რასაკვირველია, წინანდელი ქართული წიგნები, შედგენილი ქართულს ტიბიკონზედ, აღარ გამოადგებოდათ, სომხურს წიგნებს კიდევ, შედგენილს სომხის ეკლესიის წესრიგზედ, ვერ იხმარებდნენ სომხურის ენის უცოდინარეობის გამო, ამისათვის აუღიათ და სომხური წიგნები უწერიათ ქართულის ასოებით, რომ შესძლებოდათ ამ წიგნებით სომხურს ტიბიკონზედ ღვთის მსახურების აღსრულება. ამით აიხსნება, რომ ეხლაც ბევრგან მოიპოვება სომხური წიგნები, ქართულის ასოებით დაწერილი (სიტყვები სომხურია, ასოები - ქართული) (იხ. Графъ Д. Толстой, Римскій католицизмъ въ Россіи, т. 2, стр. 54). ამით აიხსნება, რომ ეხლაც სომეხ-კათოლიკეთა და გრიგორიანთა შორის ბევრში ისევ ერთნაირობა მოსჩანს, რადგანაც, სომეხ-კათოლიკეებმა თუმცა მიიღეს დასავლეთის ეკლესიის წეს-რიგი, მაგრამ ზოგიერთი წესი ისევ გრიგორიანთა ეკლესიისა შეირჩინეს. ქართველებშიაც სწორედ ასე მოხდა: იმათ პირველად იწამეს პაპი და მიიღეს რომის ეკლესიის დოღმატები, მხოლოდ საეკლესიო წესები ისევ ქართული-მართლ-მადიდებელ ეკლესიისა დარჩათ. შემდეგში-კი დოღმატებთან ერთად საეკლესიო წესები და საღვთის-მსახურებო ენაც შეიცვალეს, თუმცა-კი ზოგიერთი წესი ისევ მართლ-მადიდებელ ეკლესიისა აქვთ შერჩენილი. მაგალითად, ახალციხის ზოგიერთი მოხუცებული ქართველი კათოლიკენი, როგორც გამიგონია, თავიანთ მარხვებისა გარდა, მართლმადიდებელ ქართველთა ზოგიერთ მარხვასაც ინახავენ. ქართველ-კათოლიკეთაგან ზოგმა ლათინურს ტიბიკონზე შეიცვალა თავისი საეკლესიო წეს-რიგი და ზოგმაც - სომხურზედ.

გ) აი, ამ სომხურ ტიბიკონის ქართველი-კათოლიკენი შადგენენ მესამე ჯგუფს. საკითხავი ეხლა ის არის, თუ რანაირად გადავიდნენ ქართველი-კათოლიკენი სომხურს ტიბიკონზედ? ამის შესახებ თვით ქართველ-კათოლიკეთაგან გაგვიგონია შემდეგი: 1625 წლიდან მთელი ძველი სამესხეთო ანუ ეხლანდელი ჭოროხის ხეობა და მტკვრის სათავე ოსმალეთმა დაიპყრო და 1828 წლამდე აქ ჰბატონობდა. ამ ხნის განმავლობაში მართლ-მადიდებლობა და მართლ-მადიდებელი მესხები დიდს განსაცდელში იყვნენ. ოსმალები ძალას ატანდნენ მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს, რომ მაჰმადიანობა მიეღოთ. რადგანაც მაშინ ქართველი-კათოლიკენი ქართულს-მართლმადიდებელს ტიბიკონზედ იყვნენ და გარეგანის საეკლესიო წესებით არ განირჩეოდნენ მართლ-მადიდებელთაგან, ამისათვის იმათაც დაუწყეს დევნა, მაშინ ქართველ-კათოლიკეებმა შემწეობისთვის მიჰმართეს რომის პაპს. რომის პაპმა მიასწავლა ანატოლიის სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსისკენ (აღზად ამას თუ ექვემდებარებოდნენ ახალციხის კათოლიკენი), ამ უკანასკნელმა წინადადება მისცა ახალციხის ქართველ-კათოლიკეებს, მიეღოთ თავიანთ ეკლესიაში სომხური ენა და წესები. იმ დროს თურმე სხვა სარწმუნოების ხალხს ისე არ ავიწროვებდნენ ოსმალები,

როგორც მართლ-მადიდებლებს. იმათაც, რასაკვირველია, ჯერ ენა შეიცვალეს და შემდეგ საეკლესიო წესებიც. მაგრამ, რამდენადაც გაგვიგია, ქართული ენა მაინც კიდევ სრულიად არა ყოფილა განდევნილი ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებიდან. ამ ბოლოს დრომდის მღვდლებს კიდევ შეეძლოთ ქართულად ქადაგების თქმა და ზოგიერთის ლოცვების ქართულს ენაზედ აღსრულება.

მაგრამ ბედმა უმტყუნა ქართველ კათოლიკეებს. ამ რამდენიმე წლის წინად სომხის სამღვდელოებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ქვეყანაზედ ქართველი-კათოლიკეები არ არიანო, რომის კათოლიკეები, რომელნიც თავიანთ თავს ქართველებად აღიარებენ, ქართველები-კი არა, სომხები არიანო, ამისათვის ნება არა აქვთ ქართულს ენაზედ ღვთისმსახურება აღასრულონო. ამ საქმის მოთავედ, როგორც გამიგია, ყოფილა მღვდელი არარატიანი, მამით სომეხი და დედით ქართველი. მღვდლად ყოფილა გუმბრასი, მხოლოდ ახალციხის სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო სამმართველოს წევრად ითვლებოდა. სომეხთ საჩივარმა მიაღწია მთავრობამდის. მთავრობისგან დანიშნულ იქმნა გამომძიებლად ვილაც იგნატიევი, რომელსაც უნდა გამოეძიებინა, ახალციხესა და ახალციხის მხარეში მართლა ქართველი-კათოლიკეები არიან, თუ არა. შედეგი ამის გამომძიებისა იყო ის, რომ 1886წ., იანვრის 16-ს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც აღიკრძალა ქართულის ენის ხმარება სომეხ-კათოლიკეთა (ამათში ათავსებდნენ ქართველ-კათოლიკეებსაც) და ლათინთა ეკლესიებში, და აგრეთვე კათოლიკეთა ორად განაწილება - სომეხებად და ქართველებად, (როგორც სჩანს, მთავრობის აზრითაც მხოლოდ სომეხ-კათოლიკენი არსებობენ).

მაგრამ არც ამის შემდეგ მოსპობილა სრულიად ქართულის ენის ხმარება ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში. ამის გამო, როგორც სჩანს, კიდევ გაუზზავნიათ საჩივარი (ალბათ ისევ სომხის სამღვდელოებას) შინაგან საქმეთა მინისტრთან, რადგანაც ტირასპოლის ეპისკოპოსი (სცხოვრობს სარატოვში; სარატოვის ეპარქიაზედ არიან მიწერილნი კავკასიის კათოლიკენიც) სწერს კავკასიის სომეხ-კათოლიკეთა სამმართველოს 1892 წლის სექტემბრის 5-ის რიცხვით, №491, შემდეგს: „შინაგან საქმეთა მინისტრი მატყობინებს მე, რომ სამინისტროში მოსულა ცნობები, ვითომაც ტფილისის რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, 1886 წლის 16 იანვრის უმაღლესის ბრძანების წინააღმდეგ ღვთის-მსახურებას ასრულებდნენ ქართულს ენაზედ. რადგანაც უმაღლესი ბრძანება შეეხება არა მარტო ზოგიერთს ნაწილს ღვთის-მსახურებისას, არამედ მთელს ღვთის-მსახურებას, ამისათვის მინისტრი მოხოვს მივიღო ღონისძიებები, რომ ჩემდა რწმუნებულს ეკლესიებში ქართული ენა არ იხმარებოდეს. ძველთაგანვე დასავლეთს ეკლესიაში ჩვეულებათაა, სწერს ტირასპოლის ეპისკოპოსი, რომ ღვთის-მსახურება ლათინურს ენაზედ სწარმოებდეს, მხოლოდ აღმოსავლეთის სომხის ეკლესიაში-მარტო სომხურ-საეკლესიო ენაზედ. ამის და მიუხედავად, კავკასიაში როგორც ლათინთა, ისე სომეხთ ეკლესიებში შემოვიდა ჩვეულებად, საეკლესიო ენის გარდა სამშობლო ენის

ხმარება. ეს-კი ეწინააღმდეგება ტრიდენტის კრების¹⁹ და პაპების კლემენტოს XI²⁰ და პიუს XI²¹ დადგენილებათ. ამისათვის ვთხოვ სასულიერო სამმართველოს, დაავალოს სამღვდელოებას, რომ ამ გვარი ბოროტ-მოქმედება აღარ იქმნას შეტანილ ეკკლესიებში“. (ე.ი. სამშობლო ენაზედ აღარა სრულდებოდეს ღვთის მსახურებაო).

აი, ამ გვარად მოისპო ქართულის ენის ხმარება ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიებში და გავრცელდა ის აზრი, რომ ქართველი კათოლიკენი არა არსებობენო. მხოლოდ ვისის წყალობით? სომხის სამღვდელოებისა. ხშირად გვსმენია სომეხთაგან, რომ ქართველი-კათოლიკეები არ არსებობენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია საფუძველი ამ გვარის ზარისა. ისტორია ხომ პირ-და-პირ გვეუბნევა, რომ რომის ეკკლესია ძველთაგანვე სცდილობდა თავის მორწმუნეთა რიცხვის გამრავლებას საზოგადოდ აღმოსავლეთში და კერძოდ ქართველთა შორის და ამ აზრის მისახწევად საქართველოში ჰგზავნიდა მისიონერებს, რომელთა მოქმედება-მეცადინეობასაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მე XII საუკუნიდან იმათ ბევრი გააკათოლიკეს არამც თუ მარტო სომხები, არამედ ქართველებიც ტფილისსა, გურიასა, ქუთაისსა, სამეგრელოში და უფრო მომეტებულად ახალციხეში. მაშინ რატომ ეხლა არ უნდა არსებობდნენ ის ქართველები, რომლების შესახებ ისტორია გვეუბნევა, რომ იმათ კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღესო? მაშ თუ სომეხებმა კათოლიკობა მიიღეს და ისევ სომეხად დარჩნენ ეროვნებით, რატომ ის ქართველები-კი ისევ ქართველებად არ უნდა დარჩენილიყვნენ, რომელთაც კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღეს? თუ ამის თქმა შეიძლება: „სომეხ-კათოლიკენი“ (სომეხები, რომელთაც კათოლიკობა მიუღიათ), „ქართველ-მაჰმადიანნი“ (ქართველები, რომელთაც მაჰმადიანობა მიუღიათ), რატომ „ქართველ-კათოლიკეები“-ს თქმა-კი არ შეიძლება იმ ქართველების შესახებ, რომელთაც კათოლიკობა მიუღიათ? მაშ სომეხმა რომ მართლ-მადიდებლობა მიიღოს, იგი რუსად გადაიქცევა? ან ქართველად? ან ბერძნად? თუ ისევ სომხად დარჩება, მხოლოდ სარწმუნოება ექმნება შეცვლილი, ე. ი. გახდება მართლ-მადიდებელ სომხად. ისეა ქართველ კათოლიკეთა საქმეც: იმათ მხოლოდ სარწმუნოება აქვთ შეცვლილი, დანარჩენი საერო ნიშნები-კი ისევ ეტყობათ. შთამომავლობა-გვაროვნება, ენა, ხასიათი, ზნე-ჩვეულება, გარეგანი შეხედულება, ყოველივე ქართული აქვთ, მხოლოდ სარწმუნოება-კი შეიცვალეს. როგორ? ისე რომ, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ყველამ მიიღო დოღმატები

¹⁹ ტრიდენტის საეკლესიო კრება - კათოლიკური ეკლესიის XIX მსოფლიო საეკლესიო კრება. მოწვეულ იქნა რომის პაპის პავლე მესამის ინიციატივით 1545 წლის 13 დეკემბერს ტრიდენტის საკათედრო ტაძარში. გრძელდებოდა 1563 წლის 4 დეკემბრამდე. დაიხურა რომის პაპის პიუს მეოთხის მიერ. ეს გახლდათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრება კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში. მიღებულ იქნა 16 დოგმატური დადგენილება, მათ შორის, ტრიდენტის კატეხიზმო, ბიბლიის ლათინური თარგმანი და ა. შ. კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: რომის პაპის ლეგატები, კარდინალები, პატრიარქები, მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები და სხვ.

²⁰ კლემენტ XI, ჯოვანი ფრანჩესკო ალბანი (1649-1721) - ალბანური წარმოშობის იტალიელი რომის პაპი 1700-1721 წლებში.

²¹ სავარაუდოდ ტექსტის ამ ნაწილში კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ მითითებული რომის პაპი პიუს XI - აკილე ამბროჯო დამიანო რატი რომის პაპი გახლდათ 1922-1939 წლებში და 1897 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორს ვერ ეცოდინებოდა მისი ვინაობის და მოღვაწეობის შესახებ. რომის პაპის ტახტს მეოცე საუკუნეში იკავებდა პაპი პიუს მეათე (1903-1914), შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ შილდელის ტექსტში საუბარი ეხება რომის პაპ პიუს IX - ჯოვანი მარა მასტაი-ფერეტის (1792-1878), რომელიც პაპის სავარძელს იკავებდა 1846-1878 წლებში და რომელსაც ეკუთვნის „პაპის შეუცდომლობის“ დოგმა (1870).

დასავლეთის ეკლესიისა, ამისათვის იწოდებიან კათოლიკეებად, მხოლოდ ტიბიკონი, ე. ი. გარეგანი წეს-რიგი ღვთის-მსახურებისა, მარხვები, ენა, დღესასწაულები და სხვ., ზოგმა მიიღო ისევ დასავლეთის ანუ რომის ეკლესიისა (ესენი არიან ქართველ-კათოლიკეები „ლათინურის რიგისა“, ანუ როგორც უწოდებენ „რომის კათოლიკენი“), ზოგმა შეირჩინა ისევ ქართული (ესენი არიან ქართველი კათოლიკეები „ქართული რიგისა ანუ ტიბიკონისა“) და ზოგმაც შემოიღო სომხური ტიბიკონი (ესენი არიან ქართველი კათოლიკეები სომხურის ტიბიკონისა).

სომხურის ტიბიკონის ქართველი კათოლიკენი არ უნდა ავრიოთ სომეხ-კათოლიკეებთან. პირველნი არიან ეროვნებით ქართველები, მხოლოდ მეორენი სომხები. იმათს ეროვნულს ნიშნებში სრული განსხვავებაა და თუ ორივენი ერთსა და იმავე საეკლესიო წეს-რიგს მისდევენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორივენი ერთსა და იმავე ტომს (სომხებს) ეკუთვნიან. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ გვარამაძე, მეფისშვილი, გოკიელი, ბეხირგნიშვილი და სხ. ქართველები არ არიან? ვის გაუგონია, რომ „ძე“-ზედ და „შვილი“-ზედ სომხური გვარი ბოლოვდებოდა და არა ქართული? ჩვენის აზრით, სომხები უარს ჰყოფენ ქართველ-კათოლიკეთა არსებობას ან იმისთვის, რომ ერთმანეთში ჰრევდნენ სარწმუნოებასა და ეროვნებას, ან კიდევ იმისთვის, რომ უნდათ ქართველი კათოლიკენი ძალად გაასომხონ. ორივე შემთხვევაში შემცდარია იმათი აზრი: სარწმუნოებისა და ეროვნების არევა შუძლეველია. თუ განვებ ავრცელებენ სომხები ამგვარს აზრს, რომ უნდათ ქართველი კათოლიკენი გაასომხონ, ეს ხომ, ვგონებთ, ტყუილი აზრი და წადილი უნდა იყოს იმათის მხრივ. ესეც ხომ ეკლესია-მონასტრები არ არის, რომ ძალით დაიჩემონ, ან ქართული წარწერანი ამოფხიკონ და სომხურად დააწერონ (როგორც ახლციხე-ახალქალაქის მხარეში სჩადიან). უსულო საგანი თუ ვერ გაუწევს იმათს საქციელს წინააღმდეგობას და ვერ ეტყვის, მე ქართველთ ხელისა და ჭკუა-გონების ქმნილება ვარო და ამისათვის უფლება არა გაქვს ჩემი დაჩემებისა ან დანგრევისაო, ცოცხალი ადამიანი ხომ ეტყვის, -კაცო, რა გინდა, ძალად ხომ არ უნდა ამომგლიჯო ენა, ძალად ხომ არ უნდა ამოჭვხიკო ჩემში ეროვნული სახე, მე ქართველი ვყოფილვარ, ვარ და ქართველადვე დავრჩები. ვგონებთ, თვით ქართველი კათოლიკენი ამგვარს პასუხს მისცემენ ყველას, ვინც იმათს გადაბირებასა და ეროვნულის სახის შელახვას მოინდომებს.²²

მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებს სომხებად მოიხსენიებდნენ, თვითონ ქართველი გრიგორიანები ტერმინში „სომეხი“ მოიაზრებდნენ მხოლოდ სარწმუნოებრივ შინაარსს, ეთნიკურად მათ ყოველთვის ქართველებად მიაჩნდათ თავი. როგორც ზემოთ მივუთითებდით, გრიგორიანული ეკლესიის მრევლში გადასვლას ყოველთვის გააჩნდა გარკვეული ახსნები. ამ მიმართულებით საგულისხმო მსჯელობას გვთავაზობს მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე: „უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგორიანობის მიღება - ეს იყო სოციალური კატეგორიის შეცვლა. ეს იყო რაღაც მსგავსი სოციალური რევოლუციისა. შინაომებით, ლეკიანობით, მაჰმადიანური აგრესიით გატანჯულ, დაზარალებულ გლეხებსა და ხელოსნებს ომი აღარ სურდათ. ჩანს, გადასახადებით და ომებით გადატაკებული ხალხის მასები ისე ხვდებოდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას, როგორც განმათავისუფლებელს სიდატაკისა და ომებისაგან, მართლაც ეს სარწმუნოება

²² ე. შილდელი, ორიოდ სიტყვა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ, გაზ. „ივერია“, 1897, #243, გვ. 1-3.

ათავისუფლებდა გლეხს და ხელოსანს ომის ბეგარისაგან, და ჩანს, საბატონო გადასახადისაგანაც.²³

ამ პერიოდში ტერმინი „გასომხება“ ძირითადად გულისხმობდა არა ეროვნების შეცვლას, არამედ ერთი სოციალური ფენიდან (ყმა-გლეხი), მეორეში (ვაჭარ-ხელოსანი) გადანაცვლებას. სიტყვა „სომეხი“ ძალიან ხშირად ვაჭრის ან ხელოსნის აღმნიშვნელ ტერმინადაც გამოიყენებოდა და უფრო მეტიც, გრიგორიანული სარწმუნოების მიღება ვაჭართა და ხელოსანთა უამრავი გაერთიანებების წევრობის საფუძველსაც კი წარმოადგენდა.

XIX საუკუნიდან რადიკალურად იცვლება ვითარება. საუკუნის მანძილზე ჩატარებული რამდენიმე კამერალური აღწერის შედეგად გრიგორიანული რწმენის და სომხური ტიპიკონის მქონე ქართველი კათოლიკენი აღწერილ იქნენ ეროვნებით სომხებად. ასე გაჩნდა უამრავი ქართული გვარი, რომლებიც მე-19 საუკუნის აღწერის მასალებში მოხსენიებული არიან სომხებად. გარდა სომხებად მოხსენიებისა, XIX საუკუნის რუსული კამერალური აღწერების მასალებში უამრავ გვარს ხელოვნურად დამატებული აქვს რუსული „ოვ“ სუფიქსი. ასე გაჩნდნენ ქართული გვარები შემდეგი ფორმულირებებით:

ალხაზიშვილი - ალხაზოვი

არეშაძე - არეშოვი

აბულაძე - აბულოვი - აბულიანცი

ბასილაშვილი - ბასილოვი

გიორგაძე - გიორგიანცი

გველესიანი - გველიანცი

ივანგულაშვილი - ივანგულოვი

მამულაშვილი - მამულოვი

ღარიბაშვილი - კარიბოვი

შაბურიშვილი - შაბუროვი

თუშიშვილი - თუშურიანცი

ზურაბაშვილი - ზურაბოვი

ქონიაშვილი - სალოვი

მესამთლიშვილი - სვეჩნიკოვი

მელიაშვილი - ლისიციანი

პანჭულიძე - პანჭულიანცი

მენტეშაშვილი - მანთაშოვი

ქოჩორაშვილი - ქოჩორიანცი

თავქალიშვილი - თავქალიანცი

პურადაშვილი - პურადოვი

ეს გვარები ჩვენ მოვიტანეთ ზ. ჭიჭინაძის ნაშრომიდან „ქართველი გრიგორიანები.“²⁴ იმავე ნაშრომში ზაქარია ჭიჭინაძე ასახელებს ქართველ გრიგორიანთა შემდეგ გვარებს: ბასილაშვილი, ბარათაშვილი, ბეგთაბეგისშვილი, გიგაური, დურგლიშვილი, ბერძენიშვილი, დალაქიშვილი, ლოლაძე, კოხტიევი, მამაცაშვილი,

²³ ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია (XVII-XX საუკუნეებში), თბილისი, 2010, გვ. 226.

²⁴ ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, თბილისი, 1906, გვ. 68.

მაჩაბელი, სანდაძე, ტურიაშვილი, თარხნიშვილი, მზარეულოვი, სოსიაშვილი, ლაზიშვილი, როსტომაშვილი, ჯაშიტაშვილი, ხუციშვილი, გომელაური, სულხანიშვილი, ზოზიაშვილი, ლომიძე, მალხაზიშვილი, ნადირაძე, წამალაშვილი, კობტაშვილი, იასამანოვი, აღნიაშვილი, ბუხრაშვილი, ნამურაძე, მამაჯანაშვილი, მამინაშვილი, შანშეშვილი, მირზაშვილი, თუშანიშვილი, ჯავახიშვილი, მირიანაშვილი, ნარიმანიშვილი, წერეთელი, მარტიაშვილი, ფანიაშვილი, ბალაშვილი, ხიზანოვი, მეღვინოვი, ბაინდურაშვილი, ჩხეიძე, დადიანი, დოლაშვილი, კოკაშვილი, გოზალოვი, ხიმშიაშვილი, დონდაროვი, გიორგაძე, ქიტიაშვილი, ხაზარიშვილი, მეღორიშვილი, ჩარექაშვილი, მეტივიშვილი, ხახუტაშვილი, მანველოვი, აფხაზიშვილი, ჭიპაშვილი და ა.შ.

ამ საკითხს ეხება რ. თოფჩიშვილიც, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, თელავში მოსახლე მარტროსოვების გვარის „ქართველობა ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, როდესაც მათ გვარს მეორე სახელით („ბერძნიანი“) მოიხსენიებენ. მათივე წიანპრების საფლავის ქვებზე ბერძნიშვილის გვარი იკითხება. გადმოცემა აქვთ, რომ გადმოსახლებული არიან დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ გორგანიდან. თელაველი არუთინოვები მომდინარეობენ დემინაშვილების, აწყვერელების და ფეტვიხვრეტიაშვილებისგან, ავეტიქოვები-ბოშაშვილებისგან, თეიმურაზოვები-დემეტრაშვილებისგან, ოგანეზოვები-მათურელებისგან, მანუჩაროვები-ჩელხიშვილებისგან, სიმონოვები-მესხურებისაგან, აფრიამოვები-მენაბდეებისგან... სიღნაღელ სომხებად ჩაწერილი პაატოვების ადრინდელი ქართული გვარი კი გაბაშვილი ყოფილა, სარქისოვებისა - ბებრიშვილი, არუთინოვებისა - გონიაშვილი, ოხანეზოვებისა - ბურდული. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ეთნიკურად სომხები იყვნენ სიღნაღის 1874 წლის აღწერაში მოხსენებული „გრიგოლ გიგილოვი, იგივე ქართლელიშვილი“, „სარქის გლახას ძე ქართლელიშვილი, იგივე ხატიაშვილი“, გარსევან ივანეს ძე ყანდაშვილი, იგივე ლეკიშვილი“. საისტორიო საბუთებით ქართველები და გვარად გულეურები იყვნენ დღეს გორში მოსახლე პეტროსოვები. ველისციხელი კობტეივები კი კობტაშვილებისგან მომდინარეობენ, რომლებსაც საარქივო მასალებით უფრო ადრე კოჭატაძის გვარი უტარებიათ. ამავე სოფლის მკვიდრთა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე სომხებად ჩაწერილი სარაშვილების ადრინდელი ქართული გვარი ბეროშვილი იყო, არდაბეგოვებისა კი - ბერუაშვილი.“²⁵

ეროვნებით სომხებად დაწერილ ქართულ გვარებზე ყურადღებას ამახვილებს მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძეც. სარწმუნოებრივი მომენტის გამო გორის მაზრის სოფელ ახალდაბაში მცხოვრები: პაპაშვილები, თათრიშვილები, ნაცვლიშვილები, თანდილაშვილები, გიორგაშვილები, კუტიშვილები და ჯავახიშვილები სომხური ეთნიკური ფენისადმი არიან მიკუთვნებულნი. ასეთივე ბედი ეწიათ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ: მამასახლისშვილებს, ქვრივიშვილებს, მეზურნიშვილებს, გოგინაშვილებს, ოქრომჭედლიშვილებს, ტატანაშვილებს, აბუაშვილებს, მჭედლიშვილებს, ნასყიდაშვილებს, გოდერძიშვილებს, გიგაურებს, ტატიაშვილებს, თეთრუაშვილებს, ქოთუაშვილებს, მამუკელაშვილებს, ქართველიშვილებს, ქარელებს, მერაბიშვილებს, გიგუაშვილებს, ხაბაზიშვილებს, ნანიკაშვილებს, ქსოვრელებს, ირემაშვილებს,

²⁵ რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული „დიდგორი“, თბილისი, 1991, გვ. 43.

ბიჭიკაშვილებს, ბერიკაშვილებს, გოგოლაშვილებს, ხუბაშვილებს, ბერიაშვილებს, ცაგარელებს, ქობულაშვილებს, სოზიაშვილებს, მაისურაძეებს და მრ. სხვ.²⁶

იყვნენ ისეთი ოჯახებიც, სადაც ერთ წევრს ეროვნებით ქართველი ეწერა, ხოლო მეორეს - სომეხი.

„ავიღოთ მაგალითად, თბილისის მაზრის სოფელი - ახალსოფელი, სადაც მოსახლე კაზაროვების ერთ ნაწილს მიწერილი აქვთ - „ესენი მათიაშვილები არიან“, სოფელ კუმისში მკვიდრობდა „კეკელოვი (ესენი ალავერდაშვილებია)“. კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (გრიგორიანული რწმენის გამო კი სომხებად არიან ჩაწერილი)... ბაბალაშვილი, გურასპაშვილი, საყვარელაშვილი, მათურაძე, თათარაშვილი, გზირიშვილი, გარსევანოვი, ხორიტოვი, გურამოვი, გაბიევი, ჟუჟიაშვილი, ტეტიანაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედილაშვილი, ნინიაშვილი... პატარა ენგეთში „გრიქურაშვილი (ესენი მესტვირიშვილები არიან)“, სართიჭალაში - „სტეფანოვი (ესენი გარსიაშვილებია)“, სანიორეში „ოხანაშვილი (ორკოდაშვილებია)“, „სარქისაშვილი (კიკუაშვილებია)“, ყანდაურაში - „კუზანაშვილი (გამტკიცულაშვილებია)“, ჩუმლაყში - „დემუროვ (მენაბდიშვილებია)“, ანანურში - „სტეპანოვ (მუხაშვილებია)“ და ა. შ.²⁷

როგორც უკვე ვამბობთ, ზემოთ ჩამოთვლილი ქართული გვარების ასეთ გაუგებრობაში მოყოლას ძირითადად განაპირობებდა საქართველოში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებში ვატიკანის კონგრეგაციის მიერ ღვთისმსახურების ენად ქართული ენის დაუმტკიცებლობა. ეს გარემოება იწვევდა ამ ეკლესიებში ლათინური და სომხური ენების დომინირებას. მოგვიანებით, უკვე XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც ოსმალეთის მმართველებმა თანდათანობით დაიწყეს ევროპელი კათოლიკე მისიონერების საქმიანობის შეზღუდვა, ღვთისმსახურების ენად ძირითადად რჩებოდა მხოლოდ სომხური.

როგორც შ. ლომსაძე მიუთითებდა, ხშირ შემთხვევაში ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები თუ გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ... ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა, რადგან მეტყველებდნენ ქართულად, აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ.²⁸

ქართველ კათოლიკეთა გასომხების პროცესის დეტალებს მ. თამარაშვილი არაერთხელ შეხებია საკუთარ შრომებში.²⁹

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ზემოხსენებულ ე. წ. „გასომხების“ პროცესს მხოლოდ რელიგიური შინაარსი გააჩნდა. ვგულისხმობთ იმ გარემოებას, რომ ეს ადამიანები ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ და საერთო ქართული სივრცის განუყოფელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ. ამ პროცესმა ეროვნული შინაარსი შეიძინა საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში

²⁶ ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია (XVII-XX საუკუნეებში), თბილისი, 2010, გვ. 240.

²⁷ ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია (XVII-XX საუკუნეებში), თბილისი, 2010, გვ. 242.

²⁸ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბილისი, 2011, გვ. 501.

²⁹ იხ. მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას, თფილისი, 1904.

მოქცევის შემდეგ, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთის იმპერიის მოხელეთა მზაკვრული პოლიტიკის ნაწილი იყო.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, არაერთხელ ჩატარებული კამერალური აღწერების დროს, რუს მოხელეთა მხრიდან საგანგებო აქცენტები კეთდებოდა ეროვნულ მომენტზე. ასე ჩნდებოდა უამრავი სომეხი ეროვნებისადმი მიწერილი ქართველი გრიგორიანი, ქართველი კათოლიკე (ნაწილი იწოდებოდა „ფრანგებად“), მუსულმანური რწმენის მატარებელი ქართველები - ინგილოებად, თურქებად და ა. შ.

როგორც ვნახეთ, ასეთი რთული და არაორდინალური ვითარების გამო, უამრავი ქართული გვარის ცალკეული შტოები აღმოჩნდა სრულ ქაოსსა და გაუგებრობაში.

ვინაიდან, მღებრიშვილების გვარი არ მიეკუთვნება საქართველოს ერთ რომელიმე ლოკალურ წერტილში კომპაქტურად დასახლებულ გვარს და ამ გვარის წარმომადგენლებს შეხვდებით, როგორც დედაქალაქში, ასევე ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში და სხვაგანაც, ზემოთ ხსენებული მოვლენები, ცხადია, სხვადასხვა დროს შეეხო გვარის ცალკეულ შტოთა წარმომადგენლებსაც. ძირითადად ეს ფაქტობრივი გარემოებები გამოწვეული იყო კონფესიური მიზეზებით.

რ. თოფჩიშვილის დასახელებულ შრომაში, მაგალითად, მითითებულია, რომ „ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების არაერთი ფაქტი აქვთ დადასტურებული კავკასიათმცოდნე ეთნოგრაფს ნატალია ვოლკოვას, აგრეთვე გიორგი ჯალაბაძეს. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა გრიგორიან ქართველთა ადრინდელი ქართული გვარები (თუკი ის დაკარგეს), ამ სარწმუნოების მიღების დრო და მიზეზები. მაგალითად, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით, დირბელი (ქარელის რაიონი) მღებრიშვილები, რომლებიც ახლა სომხებად იწერებიან, ფურცელაძეები ყოფილან.“³⁰

ქართულფუძიანი გვარ-სახელების სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების საკითხზე მსჯელობისას ნ. ბალახაძე მიუთითებს, რომ აღწერის დავთრების გრაფაში ეროვნების გასწვრივ სომხებად დაფიქსირდა არაერთი ქართული გვარი, მათ შორის ბაინდურაშვილები (ბაინდუროვებად), მებაღიშვილები (მებაღოვებად), მამულაშვილები (მამულოვებად), მღებრიშვილები (მღებროვებად)³¹ და სხვ.

„ოვ“სუფიქსით (რუსული ენისთვის დამახასიათებელი ფორმა) გვარების დაბოლოება განსაკუთრებით მისაღები იყო რუს სხელმწიფო მოხელეთათვის და აყვანილი გახლდათ ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. ასე ხელოვნურად იქმნებოდა ქართული გვარების შემდეგი დამახინჯებული ფორმები: ციცინაოვი, მაჩაბელოვი, ქართველოვი, სიხარულოვი, მანუჩაროვი, აფრიამოვი და მრ. სხვ.

მღებრიშვილების გვარის შესახებ მ. ბერიძე მიუთითებდა: „მესხეთში იყო მღებარი... აღნიშნული ტერმინიდან - მღებარი მივიღეთ გვარი მღებრიშვილი, რომელმაც რუსული დაბოლოებით მოგვცა მღებროვი... მღებარი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ თავისი შინაარსით იგი არის ვლუბავ ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობა. შინაარსობრივად

³⁰ რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული „დიდგორი“, თბილისი, 1991, გვ. 41 (ავტორის ეს თეზისი, მოგვიანებით, შევიდა წიგნში „ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, ენა და კულტურა, თბილისი, 2005“).

³¹ ნ. ბალახაძე, ქართულ-სომხური ურთიერთობა 20-იანი წლებიდან დღემდე (<https://iberiana2.wordpress.com/armenia/balakhadze/>)

მართლაც ასე უნდა იყოს და უნდა ნიშნავდეს მღებავს. განსხვავებული განმარტება აქვს **მღებარისა** ივ. გვარამაძეს თავის განმარტებით ლექსიკონში: **მღებარი, მღებავი** - სამღებროს მქონე.³² მოგვიანებით, **მღებარი მღებრიშვილად** იქცა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსული დაბოლოება დაერთვის მღებარს და ვლელულობთ მღებაროვს, ხოლო **მღებრიშვილი** გვამღევს, **მღებროვს**.

ზ. ჭუმბურიძე ასახელებს მესარკიშვილს და მღებრიშვილს. გარდა ხელობის აღმნიშვნელ გვართაგან ჩამოთვლილი აქვს სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარები: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე და სხვა. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად გვხვდება გვარებად წმინდა ფუძის სახით (გვარის მაწარმოებელი აფიქსების, ან-ძე და - შვილ დაბოლებათა გარეშე).³³ ჩამოთვლილთა შორის ზ. ჭუმბურიძე ასახელებს მხატვარს. როგორც უკვე ითქვა, მღებარი_სწორედ ამ ტიპისაა.³⁴

მღებრიშვილების გვარის ზოგიერთი წარმომადგენლის სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების ფაქტების შესახებ საუბრობენ შოთა და ოთარ თეთვაძეებიც.

„Та же участ (იგულისხმება ე.წ. „გასომხების“ პროცესი) постигла и фамилии жителей Квемо Картли: Симонишвили (Симонианцев), Тетрадзе (Манесян), Менабдишвили (Маркаровы), Мгебришвили (Мгеброев), Лагидзе (Лагоев)...“³⁵

ან კიდევ:

„Некоторые грузинские фамилии со второй половины XIX века присвоили к армянскому этносу и в описях в графе происхождение зафиксировались армянами, например грузинские фамилии: Мгебришвили (Мгебровы), Мебагишвили (Мебагов) и т.д.“³⁶

ცხადია, რომ საქართველოში ქართული მოსახლეობისადმი ამგვარი დამოკიდებულება ხშირად ხდებოდა პროტესტისა და უკმაყოფილების საგანი. ასეთი საპროტესტო დამოკიდებულებები პერმანენტულად იჩენდა ხოლმე თავს და მათ შორის პრესის ფურცლებზეც. ჯერ კიდევ 1917 წლის გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე ვკითხულობთ:

³² ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, 1907 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52).

³³ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბილისი, 2003, გვ. 89.

³⁴ მ. ბერიძე, გვართა ვარიანტულობა მე-19 საუკუნის მესხეთში, ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XI, 2007, გვ. 105.

³⁵ III. Тетвадзе, О. Тетвадзе, Армяне в Грузии (с древних времён до сегодняшнего дня), Тбилиси, 2008, стр. 71.

³⁶ III. Тетвадзе, О. Тетвадзе, Армяне в Грузии (с древних времён до сегодняшнего дня), Тбилиси, 2008, стр. 122.

„ამ ათი დღის წინეთ ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ კათოლიკე იოსებ პავლეს ძე ბ-ნი მაისურაძის თაოსნობით შესდგა ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა კრება, რომელსაც დაესწრნენ მთელი მაზრიდან გამოგზავნილი 64 კაცი და თბილისის ქართველ კათოლიკეთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი პარმახსიზიშვილი და მდივანი მიხეილ იოსების ძე ბ-ნი მღებრიშვილი, რომლებმაც განიხილეს უმწეო მდგომარეობა და სომეხი კათოლიკე ქსენზები³⁷ და თვით სომეხებისგან უსამართლო ქცევა მათდამი და დაადგინეს: აირჩიონ 12 კაცისგან შემდგარი კომისია, სახელდობრ ზაქარია დიდიმამიშვილი, რაფაელი ბეგისშვილი, ივანე მღებრიშვილი, მიხეილ წალდაძე, იაკობ მესარკიშვილი, ივანე ავალიშვილი, სტეფანე გასპარიშვილი, ლუკა ხუციშვილი და სხვანი, რომლებსაც დაევალებათ წინააღმდეგობა გაუწიონ სომეხებს და დაბეჭდონ ყველგან როგორც ქ. ახალციხეში, აგრეთვე მის მაზრებშიც კათოლიკე ეკლესიები, ვიდრე არ მოსპობენ მათ ეკლესიებში სომეხურს ენაზე წირვა-ლოცვას, არ გამოეყოფიან მათ და მასთან ერთად ყველა

51

Фамилия Мгебров

Имя Захарий отчество Хрисоев

Хол. жен.

Негра. грамот. образован. 4. Возраст 26 лет

Народность грузин

Въроисповѣданіе православное

1. Фамилия Мгебров

2. Имя и отчество Александр Хрисоев

3. Звание и должность редовый шофер

4. Наименование части (учреждения) 150
Брл. Мш. Ар. Кав. Окс Бр.

5. Наименование подразделения (батальон, рота) 3 бат. 1-й ф. м.

6. № личного знака _____

Личная подпись владельца книжки _____

2. Грамотность и общее образование (если окончил техникум, рабфак или ВУЗ, то указать его название) _____
6 кл.

3. Национальность Грузин

4. Год рождения 1909

5. Год призыва (указать также — нормальный или досрочный призыв) _____
25.06.1941

იმ ქართველ კათოლიკეებს, რომელიც სომხის მღვდლებმა ნათლობის ქაღალდში ნაცვლად ქართველი კათოლიკობისა სომეხ კათოლიკებათ ჩასწერეს და თანაც მათი ქართველი გვარი „ძე“ და „შვილი“ „იანცებით“ გადაიღეს.“³⁸

რუსული „ოვ“ სუფიქსით დაბოლოებული ქართული გვარების გამოყენების ინერცია საგრძნობი იყო საბჭოთა სივრცეშიც. საბჭოთა ხელისუფლება ხალხით არასოდეს

³⁷ პოლონური წარმოშობის ტერმინი, იგულისხმება კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახური.

³⁸ კ. ოდიშარია, კორესპონდენცია ახალციხიდან, გაზ. „საქართველო“, 1917, #268 (აღნიშნული საგაზეთო მასალა, მოგვიანებით, დაიბეჭდა გამოცემაში - წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან, ტომი II, ბათუმი, 2020, გვ. 207).

ხვდებოდა დაინტერესებულ მოქალაქეთა ინიციატივებს და მათ მიერ ნამდვილი გვარის (ან გვარის სწორი ფორმის) და არასწორად ჩაწერილი ეთნიკური კუთვნილების აღდგენის მცდელობებს. ბუნებრივია, ეს ეხებოდა მღებრიშვილების გვარსაც. ჩვენ ხელთ გვაქვს ზოგიერთი დოკუმენტი XIX-XX საუკუნეების მიჯნის და XX საუკუნის, სადაც ამგვარ დამახინჯებათა მრავლობითი ფაქტებია დაფიქსირებული.

საილუსტრაციოდ მკითხველს წარვუდგენთ ფრაგმენტებს დოკუმენტებიდან, რომელთაგან პირველი წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომის დროს გაცემულ სამედიცინო ბარათს, ხოლო მეორე არის მეორე მსოფლიო ომის მონაწილეზე გაცემული წითელარმიელის წიგნაკი. ორივე დოკუმენტში გვარი - „მღებრიშვილი“ ჩაწერილია რუსული „ოვ“ სუფიქსის დამატებით და ფიქსირდება ფორმით - „Мрепов“. მიუხედავად ამისა, ორივე დოკუმენტში ეროვნების გრაფის გასწვრივ დაფიქსირებულია - „ქართველი“. ცხადია, იყო ორივე (გვარის და ეროვნების) ფორმის მიზანმიმართულად დამახინჯების ფაქტებიც.

„1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ ქართულ გვარ-სახელებში „შვილის“ გამოთიშვის ხარჯზე გაბატონდა რუსული ფორმანტი „ოვი“. ასეთი ბედი ეწია არა მარტო თავად-აზნაურთა, არამედ სახელმწიფო გლეხთა გვარებსაც: ჩოლოყაშვილი - ჩოლოკაევი, რამაზაშვილი - რამაზოვი, თუმანიშვილი - ტუმანოვი გახდა. XVIII-XIX საუკუნეებში იმძლავრა სარწმუნოებრივმა მომენტმა, და თუკი ქართველი სხვადასხვა მიზეზის გამო აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლა სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად (და სომხებად) - კათოლიკე ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად - მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.“³⁹

დასკვნა. ამგვარად, რა თქმა უნდა, რთული და ხანგრძლივი გახლდათ ქართველთათვის ეროვნული კუთვნილებისა და გვარების მიზანმიმართული შეცვლის მცდელობათა პროცესები. ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე. ადამიანები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ტრადიციული გვარ-ტომობის მივიწყებას, ცდილობდნენ კიდევ მათ გამოყენებას, თუმცა დიდ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ. წინააღმდეგობაში ვგულისხმობთ ერთის მხრივ, თავგასული უცხო ტომელი ჩინოვნიკებისა და მოხელეების თვითნებობას და შორს გამიზნულ, მზაკვრულ ჩანაფიქრს და მეორეს მხრივ, იმ გარემო-პირობებს, რომლებიც მოსახლეობას იძულებულს ხდიდა ეს ნაბიჯები გადაედგა. ამგვარი პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

მოქალაქეების შესახებ, რომელთა მშობლიური ენა ქართულია, ყოფითი წეს-ჩვეულებებით და კულტურის ყველა ნიშნით ქართველები არიან, მაგრამ დოკუმენტებში სომხებად ჩაწერილი და რუსული ფორმანტებით გაფორმებული გვარებით ცხოვრობენ, საინტერესო დოკუმენტური მასალა აქვს მოპოვებული ნ. ვოლკოვას. საკუთარ კვლევებში ავტორი მიდის იმ დასკვნებამდე, რომ უამრავი ასეთი ადამიანი წარმოშობით ქართველია.⁴⁰

³⁹ ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები (მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის), I, შესწორებული და შევსებული მეორე გამოცემა, სამეცნიერო რედაქტორი - აკადემიკოსი ალექსანდრე ღლონტი, თბილისი, 2005, გვ. 43.

⁴⁰ Н. Г. Волкова, Этнические процессы в Грузинской ССР, Этнические в культурно-бытовые процессы на Кавказе, Москва, 1978, стр. 17.

ჩვენ ხელთ გვაქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1989 წლის წერილი, რომელშიც მღებრიშვილების გვარის შესახებ არის საუბარი. ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი, სწავლული მდივანი თ. თოდრია და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი რ. თოფჩიშვილი მიუთითებენ, რომ მღებრიშვილის გვარი „წარმოშობით არის შიდა ქართლის სოფელ ახალქალაქიდან. გვარი პროფესიული (ხელობა-მოსაქმეობის) გვართა რიცხვს მიეკუთვნება. (ფორმა - მღებროვი) ნაწარმოებია რუსული ფორმანტით და მისი მატარებელნი მიკუთვნებულნი არიან სომხური ეროვნებისადმი. მაგრამ, როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ახალქალაქელი და აქედან განსახლებული მღებროვები წარმომავლობით არიან ქართველები და მათი ადრინდელი ქართული გვარი იყო მღებრიშვილი. მღებრიშვილთა სომხებად და მღებროვებად ჩაწერა მოხდა კონფესიური მომენტის გამო. ცნობილია, რომ საქართველოში ქართველთა შორის, ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, გავრცელდა სხვადასხვა რელიგიები. სამწუხაროდ, არამართლმადიდებელ ქართველებს ქართველებად აღარ თვლიდნენ, რადგან ძველ დროს ეროვნება და სარწმუნოება ერთმანეთთან იყო გაიგივებული. გრიგორიანული (მონოფიზიტური) რწმენის ქართველებს კი სომხებს უწოდებდნენ, მითუმეტეს, რომ ქრისტიანობის ეს შტო-რელიგია სომეხთა ეროვნული სარწმუნოება იყო. XIX ს-ში, ცარიზმის დროს, გრიგორიანულ ქართველებს სომხური ეროვნება ოფიციალური იურიდიული დოკუმენტებით დაუკანონეს და ბევრ მათგანს გვარების მაწარმოებელი ქართული ფორმანტები რუსულით შეუცვალეს. XIX ს-ის ყველა კამერალურ აღწერაში მღებროვები ქართული გვარით (მღებრიშვილი) არიან ჩაწერილი. 1842 წლის აღწერით კი დასტურდება მათი ქართველობა.⁴¹ მღებრიშვილის მღებროვად გადაკეთება მომხდარა XIX-XX სს. მიჯნაზე. ამ დროიდან მოკიდებული სომხური ეკლესია ქართველ გრიგორიანელთა გვარების ქართულ ფორმანტებს სომხური და რუსული ფორმანტებით უცვლიდა, რათა მათი გვარებისთვის დაეკარგათ ქართული ფორმა, შინაარსი და ჟღერადობა. შიდა ქართლში, ახალქალაქსა და გორში მღებრიშვილების გვარი არაერთხელაა მოხსენიებული XVIII საუკუნის საისტორიო საბუთებშიც.⁴² გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ საისტორიო საბუთებში მოხსენიებული მღებრიშვილები ქართულ-ქრისტიანულ სახელებს ატარებდნენ. ამასთან, მღებრიშვილთა სომხობას ისიც გამორიცხავს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე სომხებს გვარები არა ჰქონდათ. ამრიგად, მღებროვები წარმომავლობით არიან ქართველები, რომელთა ადრეული გვარი იყო მღებრიშვილი. მათ მიერ თავდაპირველი გვარისა (მღებრიშვილი) და ქართული ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და მიზანშეწონილია.“⁴³

⁴¹ სცსსა, ფონ. 254, ანაწ. I, საქ. #1939.

⁴² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, თბილისი, 1967, გვ. 250; ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობის XVIII ს-ში, თბილისი, 1907, გვ. 81, 164.

⁴³ გ. მელიქიშვილი, თ. თოდრია, რ. თოფჩიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1989 წლის 19 მაისის წერილი #06. 01. 662.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ქართული სამართლის ძეგლები. (1970). ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.
- ჯაფარიძე, ა. (2010). ქართველთა დენაციონალიზაცია (XVII-XX საუკუნეებში), თბილისი.
- თოფჩიშვილი, რ. (1991). ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული „დიდგორი“, თბილისი.
- წერეთელი, ა. (1991). ერთობა ჩვენთვის ხატია, თბილისი.
- მღებრიშვილი, მ. (1897). ეხლა-კი მესმის!, გაზ. „ივერია“, #248.
- გაზ. „ივერია“, 1897, #226.
- გაზ. „ივერია“, 1897, #229.
- გაზ. „კავკაზი“, 1897, #284.
- გაზ. „კავკაზი“, 1897, #285.
- გაზ. „კავკაზი“, 1897, #286.
- ლომსაძე, შ. (1979). გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბილისი.
- არველაძე, ბ. (1996). „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?, თბილისი.
- მაისურაძე, გ. (1982). ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბილისი.
- შილდელი, ე. (1897). ორიოდ სიტყვა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ, გაზ. „ივერია“, #243.
- ჭიჭინაძე, ზ. (1906). ქართველი გრიგორიანები, თბილისი.
- ლომსაძე, შ. (2011). სამცხე-ჯავახეთი, (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბილისი.
- თამარაშვილი, მ. (1904). პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას, თფილისი.
- ბალახაძე, ნ. ქართულ-სომხური ურთიერთობა 20-იანი წლებიდან დღემდე (<https://iberiana2.word-ress.com/armenia/balakhadze/>)
- გვარამაძე, ივ. (1907). ქართული ენის საუნჯე, (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52).
- ჭუმბურიძე, ზ. (2003). რა გქვია შენ?, თბილისი.
- ბერიძე, მ. (2007). გვართა ვარიანტულობა მე-19 საუკუნის მესხეთში, ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XI.
- ოდიშარია, კ. (1917). კორესპონდენცია ახალციხიდან, გაზ. „საქართველო“, #268
- წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან. (2020). ტომი II, ბათუმი.
- ახუაშვილი, ი. (2005). ქართული გვარ-სახელები (მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის), I, შესწორებული და შევსებული მეორე გამოცემა, სამეცნიერო რედაქტორი - აკადემიკოსი ალექსანდრე ღლონტი, თბილისი.
- სცსსა, ფონ. 254, ანაწ. I, საქ. #1939.

- ჯავახიშვილი, ივ. (1907). საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, თბილისი, 1967, გვ. 250; ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობის XVIII ს-ში, თბილისი.
- მელიქიშვილი, გ. თოდრია, თ. თოფჩიშვილი, რ. (1989). ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1989 წლის 19 მაისის წერილი #06. 01. 662.
- Волкова, Н. Г. (1978). Этнические процессы в Грузинской ССР, Этнические в культурно-бытовые процессы на Кавказе, Москва.
- Тетвадзе, Ш. Тетвадзе, О. (2008). Армяне в Грузии (с древних времён до сегодняшнего дня), Тбилиси.

REFERENCES

- kartuli samartlis dzeglebi. (1970). t'omi III, saek'lesio sak'anonmdeblo dzeglebi (XI-XIX ss.), t'ekst'ebi gamotsa, shenishvnebi da sadzieblebi daurto p'rop. i. dolidzem, tbilisi.
- japaridze, a. (2010). kartvela denatsionalizatsia (XVII-XX sauk'uneebshi), tbilisi.
- topchishvili, r. (1991). kartveli mahmadianebi, kartveli k'atolok'eebi, kartveli grigorianebi, ist'oriuli sametsniero-p'op'ularuli k'rebuli „didgori“, tbilisi.
- ts'ereteli, a. (1991). ertoba chventvis khat'ia, tbilisi.
- mghebrishvili, m. (1897). ekhla-k'i mesmis!, gaz. „iveria“, #248.
- gaz. „iveria“, 1897, #226.
- gaz. „iveria“, 1897, #229.
- gaz. „k'avk'azi“, 1897, #284.
- gaz. „k'avk'azi“, 1897, #285.
- gaz. „k'avk'azi“, 1897, #286.
- lomsadze, sh. (1979). gviani shua sauk'uneebis sakartvelos ist'oriidan, akhaltsikhuri kronik'ebi, tbilisi.
- arveladze, b. (1996). „somkhuri“ tu kartuli ek'lesiebi sakartveloshi?, tbilisi.
- maisuradze, g. (1982). kartveli da somekhi khalkhebis urtiertoba XIII-XVIII sauk'uneebshi, tbilisi.
- shildeli, e. (1897). oriode sit'qva kartvel-k'atolik'eta shesakheb, gaz. „iveria“, #243.
- ch'ich'inadze, z. (1906). kartveli grigorianebi, tbilisi.
- lomsadze, sh. (2011). samtskhe-javakheti, (XVIII sauk'unis shuats'lebidan XIX sauk'unis shuats'lebamde), tbilisi.
- tamarashvili, m. (1904). p'asukhad somkhis mts'erlebs, romelnits uarqopen kartvelt k'atolik'obas, tpilisi.
- balakhadze, n. kartul-somkhuri urtiertoba 20-iani ts'lebidan dghemde (<https://iberiana2.word-ress.com/armenia/balakhadze/>)
- gvaramadze, iv. (1907). kartuli enis saunje, (khelnats'erta inst'it'ut'is pondi, khelnats'eri №52).
- ch'umburidze, z. (2003). ra gkvia shen?, tbilisi.
- beridze, m. (2007). gvarta variant'uloba me-19 sauk'unis meskhetshi, zhurn. „kartveluri memk'vidreoba“, XI.
- odisharia, k'. (1917). k'oresp'ondentsia akhaltsikhidan, gaz. „sakartvelo“, #268
- ts'erilebi st'ambolis kartuli savanidan. (2020). t'omi II, batumi.

- akhuashvili, i. (2005). kartuli gvar-sakhelebi (masalebi kartuli gvarebis ist'oriistvis), I, shests'orebuli da shevsebuli meore gamotsema, sametsniero redakt'ori - ak'ademik'osi aleksandre ghlont'i, tbilisi.
- stsssa, pon. 254, anats'. I, sak. #1939.
- javakhishvili, iv. (1907). sakartvelos ek'onomiuri ist'oriis dzeglebi, tbilisi, 1967, gv. 250; e. taqaishvili, masalani sakartvelos st'at'ist'ik'uri aghts'erilobisa XVIII s-shi, tbilisi.
- melikishvili, g. todria, t. topchishvili, r. (1989). iv. javakhishvilis sakhelobis ist'oriis, arkeologiisa da etnograpiis inst'it'ut'is 1989 ts'lis 19 maisis ts'erili #06. 01. 662.
- Volkova, N. G. (1978). Jetnichechesskie processy v Gruzinskoj SSR, Jetnicheskie v kulturno-bytovye processy na Kavkaze, Moskva.
- Tetvadze, Sh. Tetvadze, O. (2008). Armjane v Gruzii (s drevnih vremjon do segodnjashnego dnja), Tbilisi.